# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1979 წ.

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა





1979 წლის მარტში ქ. მოსკოვში გაიმართა საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმი. პლენუმი მიეძღვნა ბავშვის საერთაშორისო წელიწადს



ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმი.
საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმისადმი მიძღვნილი გამოფენა „ლენინი და ბავშვები".

ვ. ვოლოდკინის ფოტო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

# ლენინი და ნორჩი ლენინელები

მხატვარი ი. ილინსკი



1919 წლის 1 მაისს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა საერთაშორისო პროლეტარიატის ძალთა დათვალიერების დღეს აღნიშნავდა. წითელ მოედანზე სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე სამჯერ წარმოთქვა სიტყვა ლენინმა. ერთ-ერთი სიტყვა შრომის გათავისუფლების დღესასწაულის მონაწილე ბავშვებისადმი იყო მიმართული. ლენინმა მათ ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ბელადს მტკიცედ სწამდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ბავშვები სრულად ისარგებლებდნენ რევოლუციონერთა მიერ გაწეული შრომისა და ბრძოლის ნაყოფით. მისი ეს წინასწარმეტყველური აზრები რეალობად იქცა. ლენინის ანდერძმა — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“ — პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში.

ბავშვთა წელს განსაკუთრებით ეხმაურება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში მოწყობილი სტაციონარული გამოფენა „ვ. ი. ლენინი და ბავშვები“. ისტორიული, საარქივო დოკუმენტები დამაჯერებლად მოგვითხრობს, თუ როგორ ზრუნავდა ლენინი ბავშვების კეთილდღეობისათვის. სტენდებზე გამოფენილია ბავშვთა წერილები ლენინისადმი, ბავშვთა ფიცი, ლენინის გარდაცვალების გამო, პიონერული ორგანიზაციისათვის ლენინის სახელის მინიჭების დოკუმენტები.

ლენინს შვილები არ ჰყოლია, მაგრამ მთელი არსებით უყვარდა ბავშვები. ის, სახელმწიფოებრივი საქმეებით დატვირთული, მუდამ მზად იყო გამოენახა დრო ბავშვებისათვის, სათუთად ეპყრობოდა მათ, ინტერესით და ხალისით ჩაებმებოდა ხოლმე ბავშვებთან თამაშში. ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში მხატვრების ნ. ჟუკოვის და ნ. ვასილიევის ნახატები — „ვ. ი. ლენინი და გოგონა“, „საუბარი არყის ხესთან“, „გამარჯობათ“, „ვ. ი. ლენინი ნაძვისხესთან სოკოლნიკებში“, „საუბარი ბუდიონელებზე“ — ნათლად გვიჩვენებს ბავშვებისადმი ვ. ი. ლენინის გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ბავშვების მიმართ ვ. ი. ლენინის მამობრივი ზრუნვა მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობითაც გამოიხატა. მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია საბჭოთა კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ვ. ი. ლენინი მთელი გულისყურით ეკიდებოდა სოციალისტური სახელმწიფოს მომავალ მოქალაქეთა კომუნისტურად აღზრდას, უყურადღებოდ არ ტოვებდა ბავშვთა ბაგების, ბაღების, სკოლების, უზედამხედველობის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიების, საყოველთაო განათლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეს. ვ. ი. ლენინმა 1918 წლის 19 ნოემბერს თავის ხელით დაწერა საბავშვო სახლების შესახებ, სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი, საზაფხულო კოლონიაში ბავშვთა გადაყვანის გამო სპეციალური წერილით მიმართა განათლების მუშაკებს, შეიმუშავა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ბავშვთა უფასო კვების შესახებ. განკარგულება გასცა შემუშავებულიყო რსფსრ დებულება მოზარდთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაზე.

დამთვალიერებელი დიდხანს ჩერდება და ინტერესით კითხულობს ვ. ი. ლენინის ბარათს, რომლის ტექსტი 1919 წ. 20 ივნისს პირდაპირი მავთულით გადაეცა ყირიმში სურსათის სახალხო კომისარს ვულფსონს: „ველიკოროსიაში მძიმე სასურსათო მდგომარეობასთან, ბავშვთა, განსაკუთრებით ავადმყოფ ბავშვთა კვებისათვის



კ. მარქსის სახ. საჯ. სხრ

პროდუქტების დიდ ნაკლებობასთან დაკავშირებით წინადადებას გაძლევთ ყირიმში არსებული ყველა ხილის კონსერვი, აგრეთვე ყველი გამოგზავნოთ ჩრდილოეთ ველიკოროსიის ბავშვთა კვებისათვის სასურსათო კომისარიატის მისამართით“. ხოლო, როდესაც 1920 წლის ივლისში აზერბაიჯანიდან ექვსი ვაგონი ხიზილალა ჩამოიტანეს, იგი ვ. ი. ლენინის განკარგულებით ბავშვებისათვის იქნა განკუთვნილი.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ექსპოზიციის ის განყოფილება, სადაც წარმოდგენილია ბავშვთა წერილები. საბჭოეთის ბავშვები ლენინს მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის, აცნობდნენ შრომასა და სწავლაში მოპოვებულ თავიანთ წარმატებებს, აღუთქვამდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ერთგულნი ვიქნებით, ვიბრძოლებთ და ვიშრომებთ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისათვისო.

„ეს ხომ ნამდვილი ადამიანური დოკუმენტებია! ამას ხომ ვერცერთ მოხსენებაში ვერ მოვისმენ“ — ამბობდა ვ. ი. ლენინი.

აი ზოგიერთი მათგანი: ბავშვური ხელით დაწერილი ეს წერილი მნიშვნელოვან საქმეს ეხება. კრასნოიარსკის სკოლის მესამე კლასის მოსწავლე ე. ზამორჩინა 1917 წლის 17 დეკემბერს ვ. ი. ლენინს წერილს უგზავნის და სთხოვს სკოლაში საღმრთო რჯულის სწავლების გაუქმებას. „თქვენც ბოლშევიკი ხართ და მეც, ძალიან გთხოვთ, ჩვენს გიმნაზიას გამოუგზავნოთ მოწერილობა, რომ ჩვენში სავალდებულო არ იყოს საღმრთო რჯული“.

მუზეუმებში ექსპონირებულია ვ. ი. ლენინის მიერ 1918 წელს დაწერილი დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, აქვეა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვები იმის შესახებ, რომ მოსწავლეები თავისუფლდებიან საღმრთო რჯულის სპეციალური საგნების სწავლებისაგან.

ბავშვები ხშირად უგზავნიდნენ ვ. ი. ლენინს საჩუქრად თავიანთ ნახელავს. 1923 წელს ქ. ცარიცინის № 31 საბავშვო სახლის ბავშვებმა ვ. ი. ლენინს ხელნაწერი ჟურნალი „იუნი კომუნარი“ გაუგზავნეს და მალე გამოჯანმრთელება უსურვეს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია თბილისელი ბავშვების მიერ გაგზავნილი ფოტოსურათი, რომელზეც თბილისის რკინიგზის საბავშვო კერის ბავშვთა ორკესტრია აღბეჭდილი. ეს სურათი საბავშვო კერის აღსაზრდელებმა 1922 წელს გაუგზავნეს მოსკოვში ვ. ი. ლენინს და ნ. კ. კრუპსკაიას. სურათზე წარწერაა: „ჩვენ, რკინიგზის მუშების შვილები, მხურვალე სალამს ვუძღვნით რევოლუციის ბელადს ჩვენი საბავშვო კუთხიდან, სადაც ლაღად, ხალისიანად ვცხოვრობთ და ვაშენებთ ჩვენს პატარა ცხოვრებას“.

სპეციალურ სტენდზე წარმოდგენილია გმირი ბავშვების — კოტე მღებრიშვილის, პავლე მოროზოვის, შოთა არაბიძის, ლონია გოლიკოვის, ზინა პარტნოვას, ვალია კოსტიკის, კაზეი მარატის, ნათელა ჩელებაძის ფოტოები. მათ ხომ საქმით დაამტკიცეს სამშობლოს სიყვარული, ლენინის ანდერძის ერთგულება. ზოგიერთმა მათგანმა ნორჩი სიცოცხლე სამშობლოს კეთილ მომავალს შესწირა.

„ბედნიერი ბავშვობისათვის ჩვენი მადლობა მშობლიურ ქვეყანას!“ — ამ დევიზით ესალმებიან ნორჩი პიონერები საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXV ყრილობას.

ტრადიცია გრძელდება. თბილისის 37-ე სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც მე-18 არმიის გმირულ გზას სწავლობენ, მისალოცი დეპეშა და ნოვოროსიისკში გამართულ ზეიმზე გადაღებული ფოტოსურათები გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს და სთხოვეს ფოტოსურათებზე ავტოგრაფი წაეწერა. მალე სკოლაში ნორჩმა მკვლევარებმა მოსკოვიდან ლ. ი. ბრეჟნევის საპასუხო წერილი და ავტოგრაფიანი ფოტოსურათები მიიღეს. ამ წერილის ფოტოპირი ჩვენს მუზეუმშია ექსპონირებული. მასზე ვკითხულობთ: „ძვირფასო ბავშვებო! სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გიბრუნებთ ჩემთვის გამოგზავნილ ფოტოსურათებს. საქმე, რომელსაც თქვენ მოჰკიდეთ ხელი, ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო და საჭიროა. გისურვებთ წარმატებას თქვენს ძიებაში. გილოცავთ მომავალ ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს სწავლაში“.

**თ. ცხვედიანი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხობის რაიონი — საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელი

# „მეზობელო

ამ ბოლო წლებში ხობის მშრომელებმა კარგი საქმე მოახდინეს, რაშიც აბაშელებსაც მიუძღვით წვლილი. ამას არც ხობელები უარყოფენ.

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“, — უთქვამს ჭკვიან კაცს და ეს ბრძნული გამოთქმა ხობელებმაც მოიშველიეს.

1976 წელს აბაშის რაიონის გამოცდილებით დატვირთული ახალგაზრდა კაცი გიორგი იოსავა ნოჯიხევის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოვიდა. დირექტორმა მიიხედმოიხედა და შეწუხდა. მეურნეობას მილიონ რვაათასი მანეთი დავალიანება ჰქონდა. ახალგაზრდების ჭაჭანება არ იყო სოფელში. ისინი დაბალი ანაზღაურების გამო სოფლად შრომას გაქცეოდნენ და წარმოებაში გაფანტულიყვნენ სამუშაოდ. ეკალბარდები მოსდებოდა ჩაის ბუჩქებს. ახალმა დირექტორმა ყველაფერი თავიდან დაიწყო. მეურნეობა კარგი გამოცდილი კადრებით დააკომპლექტა. თითქმის ყველა ოჯახში მივიდა და შეისწავლა თითოეული მისი წევრის მდგომარეობა, ესაუბრა მათ.

უცბად ხმა დაირხა, ნოჯიხევში აბაშის მეთოდით იქნება შრომის ანაზღაურებაო. პირველად არ დაიჯერეს ნოჯიხეველებმა, მაგრამ მერე ნელ-ნელა დაიძრა ახალგაზრდების ნაკადი მეურნეობისაკენ. გაიშალა სოციალისტური შეჯიბრებები. გაიზარდა მექანიზაციის დონე და აი, ციფრები:

1976 წელს 24 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 38 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს, 35 ცენტნერი ჩაის ნაცვლად ჰექტარზე 50 ცენტნერი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. 1977 წელს ჰექტარზე 43 ცენტნერი ჩაის ნაცვლად 62 ცენტნერი ჩაი მიიღეს, 24 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად — 44 ცენტნერი სიმინდი აიღეს. 1978 წელს ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 26 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 50 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს, ხოლო 63 ცენტნერი ჩაის ნაცვლად 80 ცენტნერი ჩაი მოკრიფეს.

გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და, რა თქმა უნდა, გაიზარდა მუშის ანაზღაურებაც. თუ წინათ მუშის ხელფასი 80 მანეთი იყო, ახლა ხელფასმა 150-170 მანეთს მიაღწია. ამას გარდა მოწინავე მუშებმა 3-4 ტონა სიმინდი მიითვალეს.

მეურნეობამ 1976 წელს 36 ათასი მანეთის

# ქარისპო"

მოგება მისცა სახელმწიფოს. 1977 წელს — 102 ათასი მანეთის, ხოლო 1978 წელს — 200 ათასი მანეთის. რენტაბელობა 1976 წელს 8 პროცენტით გაიზარდა, 1977 წელს 16 პროცენტით, ხოლო 1978 წელს 30 პროცენტით.

შენდება და მშვენდება სოფელი, საბავშვო ბაღი, საშუალო სკოლა, საერთო საცხოვრებელი, კლუბი, კინო-თეატრი, კეთილმოწყობილი აბანო.

სოფელი მაშინ არის ძლიერი, როცა ყველა ერთსულოვნად და ერთგულად შრომობს. კიდევ მაშინ არის ძლიერი, როცა უნარიანი, ავკარგიანი და სანიმუშო წინამძღოლი ჰყავს. სწორედ ასეთია ნოჯიხევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გიორგი იოსავა.

რაიონში უპირველესი საზრუნავი მეცხოველეობაა. ამიტომაც, ადრე არსებული დაქუცმაცებული ფოთის, ქვალონისა და ახალსოფლის მეღორეობის მეურნეობები გაერთიანდა და ხობის მეღორეობის საწარმოო გაერთიანების დირექტორად ნოდარ კარტოზია დაინიშნა. ნოდარი სისტემატურად აუმჯობესებს სოციალისტურ შეჯიბრებათა ფორმასა და მეთოდებს, აჯამებს ყოველდღიურ შედეგებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს კონკურსს „პროფესიაში საუკეთესოს" სახელის მოსაპოვებლად. კვარტალური შედეგების მიხედვით გამარჯვებულებს ეძლევათ წითელი დროშა და ვიმპელი. მოწინავე მეღორე ქალები ნინო მიქაბერიძე, ნინო მალაკელიძე, ნორა ბარბაქაძე, ვერა ჩიჯავაძე, მერი გრიგალაშვილი ყოველთვიურად იღებენ პრემიებს. მათ თვითეულ ღორზე წელიწადში 11 გოჭის ნაცვლად 14 გოჭი მიიღეს.

ასევე ამაყობენ ხობელები მოწინავე მწველავებით. დალი და ვარდო ხურცილავები სკოლის მერხიდან მოვიდნენ ფერმაში და ოც-ოცი ძროხა გაიპიროვნეს. თვითეულ ძროხაზე გეგმით 2.200 ლიტრი რძე უნდა მიიღონ. ფაქტიურად თვითეულ საფურაჯე ძროხიდან 3000 ლიტრი რძე ჩააბარეს სახელმწიფოს. შარშან მეურნეობამ, წლიური 405 ტონა რძის ნაცვლად 9 თვის განმავლობაში 460 ტონა რძე მიჰყიდა სახელმწიფოს.

მეღორეობის გაერთიანებას აქვს შესანიშნავი კულტურის სახლი, სადაც ჩამოყალი-



მეღორეობის გაერთიანების დირექტორი ნ. კარტოზია მოწინავე ქალებთან



ნ. მიქაბერიძე, ნ. ბარბაქაძე, ნ. ჩიჯავაძე.



მწველავი ვ. ხურცილავა







ბებულია ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, აქვთ კეთილმოწყობილი სასადილო, ბაგა-ბაღი 250 ბავშვზე.

ხობელებმა საკვებით მთლიანად უზრუნველყვეს პირუტყვი. ერთ ფართობზე ხშირად ორი მოსავალი მოჰყავთ. შარშან მშრომელებმა დაამზადეს 8500 ტონა სენაჟი, 15000 ტონა სილოსი, 3000 ტონა თივა და 15000 ტონა ჩალა. ამის შედეგიც არის, რომ პირუტყვის საერთო ჯიშიანობა 75 პროცენტით გაიზარდა, იმატა შემოსავალმა.

ალალმა შრომამ დოვლათი დააგროვა. უკანასკნელ სამ წელიწადში რაიონში შემავალი ყველა სოფელი კეთილმოწყობილი გახდა. ახლა არავის აღარ უკვირს აბანო, კულტ-სახლი, კლუბ-კანტორა, ასფალტირებული გზები. გეგმაშია საჯიჯაოს გზების მოასფალტება, სოფელში წყალსადენების გაყვანა თუ შარშანდელივით წელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წყალსადენი მილების უქონლობა არ მოიმიზეზა და მათ გეგმა არ ჩაუშალა.

ბოლო სამი წლის მანძილზე ხობელების ასე სწრაფი წინსვლა და გამარჯვება ეკონომიკური საბჭოს დამსახურებაც არის.

ეკონომიკური საბჭო 9 წევრს აერთიანებს, რომელსაც პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნუგზარ ნადარაია ხელმძღვანელობს. კონტროლი ყველგან და ყველაფერში — ასეთია საბჭოს დევიზი. იგი ყოველდღიურად აჯამებს, თუ როგორ დონეზე დგას შრომის დისციპლინა, როგორ სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, სწავლობს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამორჩენის მიზეზებს, აკეთებს ანალიზს. მერე ყოველ ორშაბათს კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და მეურნეობის დირექტორები იკრიბებიან და იძლევიან ანგარიშს, კვირის მანძილზე ვინ რა შექმნა, ვინ გაიმარჯვა და ვინ ჩამორჩა. მსჯელობენ, კამათობენ, სახავენ ღონისძიებებს, თუ როგორ უშველონ შეჯიბრებაში ჩამორჩენილ უბანს.

მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში რაიონმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 5617 ტონა ჩაის ფოთოლი, 3400 ტონა სიმინდი, 3254 ტონა ციტრუსი, 1493 ტონა ხორცი, 1152 ტონა რძე მიჰყიდა. სოფლის მეურნეობის მუშაკების ანაზღაურება სამი წლის მანძილზე გაიზარდა 12.2 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეების მთელი ოჯახის შემოსავალი — 19,7 პროცენტით.

წლეულს დიდი ამოცანის წინაშე დგანან ხობელები. მათ გადაწყვიტეს, ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 5000 ტონა მარცვალი, 9000 ტონა ჩაის ფოთოლი, 1500 ტონა ციტრუსი, 1500 ტონა ხილი, 600 ტონა სოიო, 2800 ტონა ხორცი, 3200 ტონა რძე.

ხობის რაიონში 23 სოფელია, სადაც 40 ათასი კაცი ცხოვრობს. მათ შორის 2500 კომუნისტია. პირობის განაღდება მათ უნდა ითაონ. ეჭვი არავის ეპარება, რომ ხობელები სიტყვას საქმედ აქცევენ.

**ოლია დადიანი**

### ქუთაისის პურკომბინატი — საკავშირო გარდამავალი დროშით დაჯილდოვდა

# პური არსო-ბისა

არასოდეს ამდენი არ მიფიქრია პურზე. იქნებ იმიტომ, რომ გადმოცემით ვიცი, იყო წლები, როცა ადამიანებს პური ენატრებოდათ.

არასოდეს ამდენი არ მიფიქრია პურზე მაშინაც კი, როცა გაღმერთებული მართალი კაცის სიტყვებს ვკითხულობდი, პური — „ესე არს ხორცი ჩემი“.

იქნებ ეს მარადიული სიცოცხლის ის მარცვალია, რომელსაც ადამიანი აწვდის ადამიანს.

ან, რად უნდა მაოცებდეს პურის სიკარგე. ჩემს სათაყვანო მიწაზე ხომ სამი ათასი წლის წინათ მოჰყავდათ პურეული მცენარეები. საქართველოში ისტორიულად ხორბლის კულტურულ სახეობათა 12 სახე და 130 სახესხვაობა იყო. მაშ რად უნდა გავეოცებინე ქუთაისურ პურს?! თუმცა იქაური პურის ქება ხომ რესპუბლიკას გასცდა. თუ ადამიანი ცნობისმოყვარეობამ და საკუთარი თვალით დანახვის სურვილმა მთვარეზე აიყვანა, როგორ შეიძლებოდა არ მენახა, რა ხდებოდა აქვე, მიწაზე, „ბევრჯერ სისხლით განაბან ოქროს გალავნიან“ ქალაქში.

ნათქვამია, „ჭეშმარიტი ადამიანობა კაცთმოყვარეობააო“. უსიყვარულოდ ვერ იზრუნებ შენი ქალაქის მცხოვრებლებზე, ვერ გაათენებ ღამეებს ახლის ძიებაში. და როცა მე თვითონ ვეცნობი ქუთაისის პურკომბინატის ხელმძღვანელს ოთარ მაღლაფერიძეს, სასიამოვნოდ მრჩება მისი ის დიდი თავმდაბლობა, რომელსაც ბევრი ვერ ფლობს, აუცილებელი კი არის ადამიანის ღირსებისათვის. მისი პირველი თხოვნა იყო, არ გამემახვილებინა ყურადღება მასზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რასაც გიამბობთ და რასაც ნახავთ, ეს მარტო მე არ გამიკეთებია. ეს ჩვენ ყველამ ერთად მოვიმოქმედეთ.

მართალს ამბობდა. როგორც არ შეიძლება პურის გამოცხობა უფქვილოდ და უწყლოდ, ისევე არ შეიძლება წარმოების წარმატება, თუ არ არის ხელმძღვანელისა და კოლექტივის ერთიანობა.

— ვიდრე საკუთარი თვალით ნახავდეთ, — ამბობს პატივცემული ოთარი, — მანამდე მოკლედ გიამბობთ ჩვენი წარმოების ამბავს. ქუთაისის პურკომბინატის ერთიან სისტემას საფუძველი 1933 წელს ჩაეყარა. პურსაცხობი ბაზა 1937 წლამდე შედგებოდა 35 კუსტარული საცხობისა და თონისგან. თითოეულის სიმძლავრე 1—3 ტონამდე აღწევდა. 1937 წელს აშენდა მექანიკური საცხობი. ცომი ხელით იზილებოდა, ფქვილიც ხელით გადაჰქონდათ, რასაც მეტი მუშახელი სჭირდებოდა. 1947 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ნახევრად მექანიზებული პურის ქარხანა სამი საცხობი ღუმელითა და ცომშემრევი მანქანით. დანარჩენი პროცესები კვლავ ხელით სრულდებოდა. ცვლაში 30 კაცი მუშაობდა. საცხობის წარმადობა 12 ტონას აღწევდა, რაც ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. 1954 წელს დაიწყო ტიპიური, ხუთსართულიანი პურის ქარხნის მშენებლობა. იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1956 წელს ღუმელებით, ცომშემრევი და ცომსაჭრელი მანქანებით აღჭურვილი. მას 1967 წელს შეემატა მექანიზებული პურის ქარხნები და თონეები, კუსტარული საცხობები კი მთლიანად მოისპო. ამჟამად ჩვენს გაერთიანებაში ცხრა საწარმოა: ხუთი პურის ქარხანა, ორი ქართული პურის მექანიზებული თონე, ერთი საფუნთუშე საწარმო და ერთი ბლითების ქარხანა.

— იქნებ სჯობდა საკუთარი თვალით გენახათ?

— რა თქმა უნდა, — ვეთანხმები მას და ინტერესს ვერ ვმალავ.

ვიდრე კაბინეტს გამოვცდებოდით, კარებში საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა.

— გაიცანით, ჩვენი მთავარი ინჟინერი გულივერ გიგაშვილია. ისინი ორივენი მიწევენ მეგზურობას.

იშვიათად შეხვდებით სადმე ასეთ სისუფთავეს, ასეთ კმაყოფილ სახეებს. თეთრხალათიან ქალთა ჯგუფი ისე ტრიალებს, თითქოს მეორე ოთახში სტუმრებით სავსე მაგიდაზე ათასგვარი სურნელებით სავსე ტკბილეულის მიტანა უგვიანდებათ. საქალაქო საბჭოს დეპუტატს, მცხობელ მანანა ჟორჟოლიანს ხვითქი გადასდის შუბლზე, სახე ავარდისფერებია. წუთით გვიყურებს და ისევ ღუმელს უთვალთვალებს, ეშინია არ დაეწვას ნამცხვარი, თორემ შრომის ხარისხის შემფასებელი წუნს დასდებს მის ნახელავს.

— დიდი შედეგი მოგვცა უტარო მეურნეობის მეთოდმა, — მეუბნება წარმოების ხელმძღვანელი და იმ ოთახში გავდივართ, სადაც შრომის პროცესი იწყება — ფქვილი პირდაპირ იყრება ბუნკერებში. ამგვარი ბუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერები ადგილზევე მოვიფიქრეთ და დავამზადეთ. თვითეული 22 ტონას იტევს.

წუნარად შევყურებ გოლიათებივით აღმართულ ოთხ უზარმაზარ ბუნკერს. ვუსმენ, როგორ წიკწიკებს შნეკი, ვხედავ, როგორ იცრება ფქვილი, და როგორ გადადის ავტომატურ საწონებში, იქ დოზირდება და გადაეცემა თხიერი ფაზის დამამზადებელს. შემდეგ ცომი იჭრება, გუნდავდება, ყოვნდება და საცხობ ღუმელში გადადის. ლაბორატორიის გამგე ლამარა ნიკოლაიშვილი თვალყურს ადევნებს პროდუქციის ხარისხს. თვითეულ მუშას თავისი სამუშაო სქემა აქვს. გასასვლელში ახლად მიღებული 50 გრამიანი პურის შესაფუთავი მანქანა დგას, კედელზე შრომის ორგანიზაციის რუკაა გაკრული, საგარდეროზში თვითეული მუშის ტანსაცმელი ცელოფანშია მოთავსებული. ქალთა ჰიგიენის ოთახსა და წითელ კუთხეს წუნს ვერ დასდებთ.

— მართალი რომ ვთქვა, — ამბობს მთავარი ინჟინერი, — საწარმოები ერთმანეთის მოშორებით, სხვადასხვა რაიონებში გვაქვს.

მსუბუქი მანქანა № 5 პურის ქარხანასთან ჩერდება. ეზო მტირალა ტირიფებს დაუჩრდილავს. შემოუღობავთ ბაღჩა, მოჰყავთ ბოსტნეული. ქარხანა 1977 წლის იანვარში გუმათის ნახევრად მექანიზებული საცხობის ბაზაზე ამუშავდა, — მიხსნიან მასპინძლები.

—რეკონსტრუქცია კომბინატის რაციონალიზატორთა სქემის მიხედვით ჩატარდა. იყო წინააღმდეგობა, იყვნენ ურწმუნო თომას მსგავსნი, მაგრამ ბევრი მხარში ამომიდგა.

ეზოშივე საოცარი სურნელი ტრიალებს. ვისაც სამზადთან გაუვლია, ყველასათვის ნაცნობია ეს სუნი. სტანდარტულ საგუშაგოებს მუდამ მეთვალყურეობს სამი სპეციალისტი. მემანქანე ნანი ბოჭორიშვილი ყურადღებით მუშაობს. მას არც მედეა ჩუგაშვილი ჩამორჩება.

—ძირითადი მასალა ფქვილი, წყალი, საფუარი და მარილია, თუმცა ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა გამამდიდრებელიც (რძის შრატი, კალიუმის ბრომიდი და სხვ.) — მიხსნის გულივერი.

ვხედავ, როგორ მზადდება ცომი ცომსაზელში. დანადგარს თან ახლავს პატარა რკინის ყუთი. — ეს თხიერი ფაზის მადოზირებელი ავტომატია. ესეც ჩვენმა რაციონალიზატორებმა შექმნეს, კმაყოფილებით აღნიშნავს წარმოების ხელმძღვანელი. იგი საშუალებას იძლევა სტაბილურად დავიცვათ პროდუქციის ხარისხი.

კონვეიერს მიაქვს ცომი ცომსაჭრელისკენ. დაჭრილი ცომი ბუნკერისკენ გადადის, ყოვნდება და პური რომ უკეთესი გამოვიდეს, ორჯერ გუნდავდება. — ცხელი, დაბრაწული პურები საცხობიდან ტაატით მოაქვს კონვეიერს. ოთარ მაღლაფერიძე ერთ მათგანს ორივე ხელს უჭერს და უშვებს, პური ისევ ღრუბელივით იშლება.

კვლავ საამქროს ვათვალიერებთ. გოლიათებივით აღმართულ ბუნკერებიან ოთახში შევდივართ. აქ ფქვილის მიწოდება ახალი მეთოდით, ე. წ. „შეწოვის“ პრინციპით მაღალი წნევის ვენტილიატორის გამოყენებით სწარმოებს. ეს სსრ კავშირში პირველად ქუთაისის პურკომბინატში განხორციელდა.

იქიდან № 3 პურის ქარხანაში მივდივართ. შენობა არც ისე დიდი მოცულობისაა, მაგრამ ეს ვერ აფერხებს მუშაობას. აქაც იგივე უწყვეტი წარმოებაა. მეღუმელე მანონ ისიანი გაფაციცებით უთვალთვალებს ღუმელს, კონვეიერზე ცარიელი ფორმები გამწკრივებულან.

საცხობში ფორმების ავტომატურად შემზეთმა აპარატ-მოწყობილობების დანერგვამ 14 მუშა გამოათავისუფლა, თან დიდი ეფექტი მოგვცა მცენარეული ზეთების ეკონომიაში. ადრე მათი დაზეთვა ხელით ხდებოდა.

ახალ მანქანათმშენებლობის რაიონში, № 4 პურის ქარხანაში ვართ. ეს ქარხანა კუსტარული საცხობის ბაზაზე აშენებულა. იმ ოთახს ვათვალიერებ, სადაც მარილის უტარო მეურნეობაა დანერგილი და მას სველად ინახავენ. თეთრი ფილებით მოპირკეთებული აუზები პირთამდეა სავსე.

— მარილი ჯერ ირეცხება. მიხსნის მთავარი ინჟინერი, — მერე იფილტრება, და ასე, გამდნარი, უწყვეტად მიედინება. ესეც ჩვენი რაციონალიზატორების შემოქმედებაა.

გასასვლელში, კედლებთან სავსე ტომრებია. ეს გამომშრალი და შემდეგ დაფქული პურია.

— თუ მაღაზიამ უკან დაგვიბრუნა დროგასული პური, მას ვაშრობთ, ვფქვავთ და ვაწვდით სხვა წარმოებებს.

მე-2 მექანიკურ თონეში სივიწროვეა. მაგრამ სისუფთავისთვის და სილამაზისთვის ამას ხელი არ შეუშლია. ცომის დამამზადებელი ვენერა მანაგაძე ცომსაზელს დასდგომია. წარმოების ხელმძღვანელი ლია ამირანაშვილი მუშებთანაა. რაჟდენ გამსახურდიას მიერ გამოგონებული და მისივე სახელობის მექანიკური თონე რაჭის დაფერდებულ მთას მოგაგონებთ. მისმა ავტორმა 1965 წელს ოქროს დიდი მედალი მიიღო.

— 1971 წლიდან 27-ჯერ დავისაკუთრეთ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია, ხოლო 5-ჯერ — საქართველოსი. შარშან საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე ვიყავით და ექვსი ამხანაგი დაჯილდოვდა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით. მოსკოვში ჩატარებული ქუთაისური დღეებიც ჩვენი წარმატების შედეგი იყო. 1978 წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშით დაგვაჯილდოვა — თქვეს პურკომბინატში.

რა არის იმაზე სასიხარულო, შრომა ასე რომ დაფასდება!

**ლალი დეკანოსიძე**

ირაკლი ბაზაძე

## ბაგრატის ტაძართან

მართლაც რა ხანია, მართლაც რა ხანია
ბაგრატს ფათალოთი შუბლი დაღარვია,
მკერდზე ია-იის უკრთის დაღამება
და კვლავაც
    და კვლავაც
        და კვლავაც მაღალია.
უნდა დამესიზმრო ისევ,
უნდა მომეჩვენო ისევ,
დგახარ, მიყურებ, დუმხარ
და შენს ბრძნულ დუმილს ვისმენ.

უნდა გამაცოცხლო მკვდარი,
უნდა დამაბარბაცო მთვრალი,
უნდა ამიუიუმატო თვალი
შენი კერიის კვამლით;
კალთაში ჩამისვა და მხარაქცეულს
მთვარით შემილოცო, მთვარით.

მართლაც რა ხანია მართლაც,
ბაგრატს ფათალოთი შუბლი დაღარვია,
ო, რა მაღალია გწამდეს,
გწამდეს — მართლაც რა მაღალია.

## ამ გაზაფხულზე...

ამ გაზაფხულზე ფერების მტვერში
მე თრთოლვა შემაქვს — მზით განათვალი,
ქართა ქარული დაჰკარგეს გეში
და მთები ხვნეშით ამოათავეს.

მე გეკითხები როდის და როგორ
წარიღე ჩემი გული მეფური,
და ცაზე თითქოს მოლაშქრე მონგოლს
ასი კოცონი აქვს დანთებული.

ამ უნეტარეს და თბილ ღამეში,
იწვის მთრთოლვარე ჩემი სხეული,
როგორც უფალი, მეც ცად ავეშვი,
მიწას დაკრული შფოთვა ეული.

მაინც რაღაცა აწუხებს ქედებს,
როგორც სივრცეებს საზღვართა რკალი,
და მე ავტკივდი ვიღაცის სევდას
და მე მოვშივდი ვიღაცის თვალებს.

ამ გაზაფხულზე ფერთა გამაში,
ფრთა დაუკეცავს მთვლემარე არწივს...
წევს საქართველო დევის ჰამაკში
და ჩემი ფიქრის ნათელი არწევს.

# ႠႫႠႢႣႠႰႨ

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან წლებში მოვიდა ანიკო თანდაშვილი სამომხმარებლო კოოპერაციაში. რა დასამალავია, იმ დროს დახლში დგომა არც საქალო საქმედ მიაჩნდათ და არც მიმზიდველ პროფესიად, მაგრამ ამაზე ფიქრისთვის ვის ეცალა — ვაჟკაცები ფრონტზე წავიდნენ და შინ დარჩენილი მანდილოსნები დედაკაცების საქმესაც აკეთებდნენ და მამაკაცებისაც.

სოფელ ანაგის მაშინდელი მაღაზიების ავლადიდებას თავი მოუყარეს იმ შენობაში, სადაც ახლა № 1 სამრეწველო მაღაზიაა. თუმცა არც გამსხვილებული ობიექტის დახლებს უგრძვნიათ საქონლის სიმძიმე, მაგრამ ხალხს ყოველდღიურად სჭირდებოდა პური, მარილი, საპონი, ასანთი... მომხმარებლისთვის ზრუნვა სავაჭრო-საქონელმცოდნეობის ეკონომიკური ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა, ახალბედა ნოქარმა ითავა. ყოველდღიურად შორი მანძილიდან ეზიდებოდა სურსათს და სამრეწველო ნაწარმს. გზაში შემოღამებას ვინა ჩიოდა, ოღონდ მთვარიანი ღამე ყოფილიყო, შვინდახარებს ფეხაურევლად ევლოთ და დაღლილ-დაქანცულები შინ მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ.

იმ დროის კვალობაზე ანიკო უნარიანად, მთელი მონდომებით უძღვებოდა კომერციულ საქმეს და სოფელში ყველას პირზე ეკერა, ჭურიაანთ რძალმა კარგი ხელი გამოიღოო.

ძველი კოოპერატორი გუშინდელ დღესავით იხსენებს გარდასულ ამბებს: ანაგა ტიპური ზურგის სოფელი იყო. დიდ-პატარა, ქალი თუ კაცი დილიდან საღამომდე მკლავმოუღლელად შრომობდნენ. ანაგელ მშრომელებს აკლდათ საჭმელიცა და სასმელიც, მაგრამ სამშობლოს ვარამი საკუთარ სახმილზე უფრო ღრმა იყო და პირად სატკივარს ადვილად იტანდნენ. მაშინ ყველაზე ძნელ საქმედ ფოსტალიონობა მიაჩნდათ. სოფელმა 600 ვაჟკაცი გააცილა ფრონტზე, შინმოუსვლელთა სიაში კი 306 გვარი წერია. მათ შორის ანიკოს მეუღლეც არის. ნაადრევად დაითალხა ერთადერთი გოგონას დედა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... მაღაზია ბარომეტრივით ასახავს განახლებული ცხოვრების მაჯისცემას. გაჩნდა ახალი საქონელი, გაფართოვდა ასორტიმენტი, გაუმჯობესდა ხარისხი, და, რაც მთავარია, შეიცვალა თვითონ ადამიანი. კოოპერატორებისა და აქაური ინტელიგენციის თაოსნობით სოფელს შეემატა ახალი ობიექტები. 1960 წელს წიგნის მაღაზიაც გაიხსნა. იქ მუშაობა უკვე გამოცდილ მუშაკს ა. თანდაშვილს შესთავაზეს და არჩევანში არც შემცდარან.

წიგნი განსაკუთრებული საქონელია, იგი უბრალოდ კი არ უნდა გასაღდეს; თავისი მყიდველი უნდა იპოვოს. ამ დევიზით შრომობს წიგნის მაღაზიის მუხლჩაუხრელი დიასახლისი და წლიდან წლამდე გადაჭარბებით ასრულებს საქონელბრუნვის გეგმებს. ვინ იცის, მშრალი პროცენტების მიღმა რაოდენ დიდი საქმეა გაწეული, რა ღრმა ხნულია გავლებული ახალგაზრდობის სულიერ ცხოვრებაში! ანაგაში მოზარდი თაობის აღზრდას პედაგოგთა და კულტურის მუშაკთა კვალიფიციური რაზმი ემსახურება, მაგრამ წიგნით მოვაჭრე თანდაშვილი ერთადერთია მხრებგანიერ სოფელში.

1960 წლიდან დღემდე რამდენი ხანია გასული? ის, ვინც მაშინ აკვანში იწვა და ტკბილი ძილისპირულით ისვენებდა, დღეს სტუდენტია, ვაზის მესაიდუმლეა, წარმოების მოწინავე მუშაკია... მათ სხვები მიჰყვებიან. თითოეულ მათგანს საკუთარი ბებია ჰყავს, მაგრამ ანიკო ბებია მათთვის საერთო ბებიაა, მარად მზრუნველი და ტკბილმოუბარი.

რამდენიმე წლის წინათ მაღაზიაში ვაჭრობის პროგრესული ფორმები დაინერგა — თვითმომსახურება, ღია გამოფენითი და გამსვლელი ვაჭრობა. აქ შეიძლება დავუკვეთოთ ესა თუ ის წიგნი, ან გააფორმოთ ხელმოწერა მრავალტომიან გამოცემებზე. ამის გარდა მჭიდრო კონტაქტია დამყარებული სოფლის ბიბლიოთეკებთან, საშუალო სკოლასთან. სიახლემ სასურველი შედეგები გამოიღო და მნიშვნელოვნად აამაღლა მყიდველთა მომსახურების კულტურა.

წიგნის მაღაზია ძველ შენობაშია მოთავსებული, არც წიგნების ფონდია საკმარისი, მაგრამ თავდადებას თავისი გაუტანია და გადაულახავს ხელისშემშლელი ბარიერები. ა. თანდაშვილის მუდმივი საზრუნავია სხვა კოოპორგანიზაციებიდან თუ რაიონებიდან დამატებითი ლიტერატურის შემოტანა. ე. წ. დეცენტრალიზებული შესყიდვა კი კომერციულ ალღოს მოითხოვს. კარგ წიგნებს იოლად ვინ შეელევა, რასაც შემოიტანს, მისი რეალიზაცია სწრაფად უნდა მოხდეს, თუ არა საქონლის ზენორმატიული ნაშთი წარმოიქმნება, რაც გააუარესებს სავაჭრო ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. აქ გეგმების რიტმულად შესრულებასთან ერთად მაღაზიის სასაქონლო ნაშთები, როგორც წესი, ყოველთვის ნორმატიულს უახლოვდება. ნაყოფიერი მუშაობისათვის წიგნის მუშაკი ბევრჯერ წაუხალისებიათ მორალურად თუ მატერიალურად, რაც მისთვის ახალი მიჯნების დაძლევის სტიმულად ქცეულა.

შარშან, წლის მიწურულს ძველთაძველმა მცხეთამ სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკური კონკურსის მონაწილეებს უმასპინძლა, რომლებიც ერთმანეთს „პროფესიაში საუკეთესოს“ წოდების მოსაპოვებლად გაეჯიბრნენ. ჟიურიმ დახლის ხუთ მუშაკს „საუკეთესო გამყიდველის“ წოდება მიანიჭა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა. მათ შორის არის ცეკავშირის საბჭოს წევრობის კანდიდატი, საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის წარჩინებული, კომუნისტური შრომის დამკვრელი ანა თანდაშვილი.

შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით „ცენტროსოიუზის“ გამგეობამ და დარგობრივი პროფკავშირის პრეზიდიუმმა ჩვენი რესპუბლიკის 17 კოოპერატორი საპატიო დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. ერთ-ერთი მათგანი ა. თანდაშვილი გახლავთ.

1977 წლის დასაწყისში ანიკო თანდაშვილი გულმხურვალედ გამოეხმაურა ახალ თაოსნობას — საბჭოთა კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის — 1978 წლის 7 ოქტომბრისათვის შეესრულებინა მეათე ხუთწლედის პირველი სამი წლის დავალებები. ვეტერანი მუშაკის ვალდებულებას საკმარისი საფუძველი ჰქონდა. მან პირველი წლის გეგმა 122 პროცენტით, შეასრულა, მეორე წლისა — 140 პროცენტით, ხოლო მესამე წლის შვიდ თვეში ნავაჭრმა 9,2 ათას მანეთს მიაღწია და 1 აგვისტოსათვის ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულა!

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებსა და მომხმარებლებს ღრმად გვწამს, რომ ამაგდარი ა. თანდაშვილი კვლავაც სიამაყის გრძნობით, ენერგიულად იბრძოლებს შრომის ფრონტზე და მორიგი წარმატებებით გაგვახარებს.

თ. კახელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაშვილი



# თეთრი ბუმბული

მოთხრობა

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

საყვავილის ნამიან კიბეს დინჯად ჩაჰყვა მთლად თეთრებში გამოწყობილი კაფანდარა მოხუცი ქალი. ამ სითეთრეს სადღაც ზღვარს უდებდა ჩალის შლაპაზე ირგვლივ შემოწყობილი წვრილი, ცისფერი ყვავილები.

— ეს თეთრი ბუმბული ნიავს ჩამოჰყვა! ვნახოთ ერთი, რა ხელი ექნება! — ქოთნები მისწი-მოსწია მეყვავილემ და მუშტრის მისალებად წამოდგა.

— ვიშ, რა სიგრილეა! — მანდილოსანმა შვება იგრძნო და იქვე, უზურგო სკამზე ხასოებით ჩამოჯდა. საფულედან ჰაეროვანი ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი შეიმშრალა და ქოლგის წვერით პრუნელის თეთრ ფეხსაცმელზე დაცემული ფოთოლი მოიცილა. — თქვენ არასოდეს დაბერდებით ამ გარემოში! — ოდესღაც მზიანი ღიმილი შეაფრქვია მეყვავილეს და სათითაოდ მიუალერსა ქოთნებში გალაღებულ ყვავილებს...

— რა ლამაზია, ამ ყვავილს მთელი სიცოცხლე ვეტრფი და სახელი კი დღესაც არ ვიცი, რა ჰქვია, გეთაყვა?

— რა ვიცი, აბა, დეიდა, მაგის ნათლობაში არ ვყოფილვარ, — ნაძალადევად გამოუჩინა კბილი მეყვავილემ, ასე თუ ისე „სიფთაზე“ შემოსული მუშტარი იყო.

— ხუმრობა კარგია, მაგრამ თავის ადგილზე — მანდილოსანი ოდნავ შექანდა შენიშვნის ხაზგასმისათვის და სიტყვა ისევ ყვავილს შეახო.

— აი, ეს მიხაკი ხომ... სასწაულია! რა მედიდურებას, რა კდემამოსილებას გაგრძნობინებს! სურნელს ხომ ნუღარ იტყვი...

— ცალი, — მანეთი! — თავის საკრეფში გადმოიყვანა მეყვავილემ საამოდ თავბრუდახვეული ქალი, იმან კი კოპწია, გაპუდრული ცხვირპირი მიხაკებში ჩარგო და ნეტარებას მიეცა.

მეყვავილეს ენის წვერზე უთამაშებდა შესაპანჩურებელი სიტყვა, მაგრამ კბილს აჭერდა, „სიფთის“ რწმენა მოთმინებითაც ამარაგებდა.

— მიხაკი თესლით მრავლდება, თუ...

— დეიდაჯან, მე ნაუჩნი რაბოტნიკი როდი ვარ...

საყვავილის მუშაკი ხომ ხარ!... პაპაჩემმა ანა-ბანაც არ იცოდა, მაგრამ რა ვარდნარი უყვაოდა, თუ მაისის, თუ თეთრი, თუ ჩაინაია, თუ სამურაბე...

— ვა...

— არც ამ პაწიას სახელი იცი? რა სინაზეა, რა სიფაქიზე, რა სიწმინდე! მანდილოსანი ახლა ქოთნის პირისფერ, სიფრიფანა ყვავილებს მიეფერა.

— ზედ აწერია!

ქალმა თვალები მოჭუტა.

— სათვალე შინ დამრჩა, ვერ ვკითხულობ...

— დიდედაჯან, ყვავილი ყვავილია, სახელი ხომ არ უნდა დაუძახო, მოდი ჩემთანო, დადეთ ორი მანეთი და გინდა გულში ჩაიხუტეთ ეგ ქოთანი — გამყიდველს მოთმინების ფიალა აევსო.

— ყვავილებს ისეთი ლამაზი სახელები ჰქვიათ, იმათი გაგონებაც სიამოვნებაა. მე პირადად, ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ, ოღონდ ყვავილებს მაყურებინე, პაპისაგან თუ გამომყვა ეს დიდი გრძნობა ამ საკალელი არსებებისადმი...

— ვა! „საკალელი“, ჰა?

— თქვენ გამიგებთ უსათუოდ, ალბათ ასეთივე გრძნობით ხართ დაკავშირებული ყვავილთა ამ პატარა სამყაროსთან! მეუღლეს ხომ მიართმევთ ხოლმე თაიგულებს?

— იმას „ხელის ჭუჭყი“ უფრო უხარიან...

— ცილს სწამებთ, არ მეგულება ქალი, რომ ქმრის მირთმეული ყვავილის ფასი არ იცოდეს!

— ფასები იცის!

— ნეტავი, ამ ლილა-ლილა ყვავილებს რა ჰქვიათ?

— ჩემო დაო, თუ ყიდულობ, იყიდე, თუ არადა პერერივი დაიწყო...

— განა გადაგღალეთ? რომ იცოდეთ რა გაჭირვება მადგას... დღევანდელ დღეს ნახევარი საუკუნე შესრულდა, რაც დავქვრივდი... ქალმა ცხვირსახოცის წვერი ჯერ ერთ, მერე მეორე თვალის უპეზე მიიდო.

— საუკუნე! — მეყვავილემ მოთმინება მოიკრიფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ოცდაათისა დავქვრივდი... იცით, რა ქმარი მყავდა? ისეთი დასტაქარი ტყუილია, ჯადოქარს ეძახდნენ, როგორც მეუღლე ხომ... ქალმა ისევ მიიფარა თვალებზე ცხვირსახოცი...

— ახლა რა ვუყოთ, დიდედავ, ყველანი ვიბადებით და ვკვდებით.

— აი, მე რომ არ მოვკვდი?

— ხვალაც ამ თვისაა! — სიმწრისაგან წამოსცდა გულისმოსაფხანი.

— ხვალისა რა მოგახსენო, მაგრამ დღეს კი ჩემი ქმრის საფლავზე „უვიწყარა“ უნდა მივიტანო. ეს ყვავილები ნიშნობის ღამეს მომართვა იმ სულით განათლებულმა... იქნება გაქვთ, მოძებნეთ, ნუ დამზარდებით...

— ეგეთი ყვავილი ჯერ არსად არ ამოსულა, პირველად მესმის. აი, ეს ლილა წაიღე, რაკი „ლილად“ მონათლე, იაფია, ცალი თხუთმეტი კაპიკი.

— ეს თხუთმეტი კაპიკი და მიხაკი მანეთი?

— ძალუაჯან, შენი გამკვირვებია! მაშ, მიხაკი და ეს ერთია! უდურბინდოდ კაცი ვერც კი დაინახავს, სად არის გამოსაჩენი? ამას კი, გნებავს ქორწილში მიართმევ, გნებავს განსვენებულს გააპატიოსნებ, ესეც ანგარიშია, არა!

— სწორედ ანგარიში გეშლება! ყველგან ეგ მიხაკია თავს წამომჯდარი, ლხინშიაც და ჭირშიაც. ან ერთი აირჩიოს, ან მეორე!

— მე რა მეშლება, მამიდო! აი, ვისაც მიაქ, იმას ეშლება!

— მე რომ მკითხო, წითელს ქორწილში წავიღებდი, ვარდისფერს დაბადების დღეზე, ან ნიშნობაში, თეთრს — გასაპატიოსნებლად. შენ რას იტყვი?

— დეიდო, გაზეთში დაწერე, სხვებმა გაიგონ, თორემ მე არც იქ მიმაქ და არც იქა... ქორწილში ოცდახუთმანეთიანსა ვდებ, მკვდარზე თუმანს. მორჩა?! რამდენი აგირჩიო ეს ლილა ყვავილები?

— ათი ცალი რა ეღირება?

— მანეთნახევარი!

ხუთი ცალი?

— მანეთნახევარი შუაზე გაყავი რა! — უბა გვერდზე მოექცა გამყიდველს — სამოცდათხუთმეტი კაპიკი, მუქთია...

— რა ვქნა, „უვიწყარები“ მინდოდა...

— ეეე, მეც ბევრი რამე მინდა, დიდედაჯან.

მეყვავილემ ცელოფანში გამოუხვია წვრილი ცისფერი ყვავილი.

მანდილოსანმა ხელის კანკალით რამდენჯერმე გადმოთვალა ხურდა საფულიდან და, როგორც იყო, დადო დახლზე.

— ცხონებული იყოს დასტაქარი იმ ქვეყნად... მეყვავილემ სიბრაზეს ქვა მიაგდო და ხელმკლავით კიბემდე მიაცილა ნიავქარს ჩამოყოლილი თეთრი ბუმბული.

— ის მაინც არ გეპატიება, ყვავილებს ჰყიდი და სახელები არ იცი! კეკლუცად შედგა კიბეზე მანდილოსანი და მეყვავილეს თითი დაუქნია.

— ვა, ნათლიდედ, აი, მაშ შლაპაზე რომ



ყვავილები გიკეთია, იცი მაგათი სახელი? — ალმურმა დაუარა მეყვავილეს.

— შლაპაზე? — ქალმა ისე იკითხა, თითქოს პირველად გაიგო ეს ამბავიო, წამოიძრო და ცნობისმოყვარეობით დახედა დამტვერიანებულ, გადაცრეცილ აბრეშუმის ყვავილებს.

— ოი, აი, „უვიწყარები“! ეს ჩემი ქმრის პატივსაცემად გავაკეთებინე, ქვრივის ძაძები რომ გავიხადე... ღმერთმა გიშველოს, რას ნიშნავს მადლიანი თვალი! ავდგები და ამ „უვიწყარებს“ მივუტან... უფრო გაუხარდება, უფრო გავახსენდები.

მოხუცმა ხელის კანკალით შემოხსნა შლაპას წვრილი ყვავილის პაწია თაიგულები და ერთად შეკონა.

— დაიბრუნეთ, გეთაყვა, თქვენი „ლილა“! — ქალმა ცელოფანში გახვეული ყვავილები უკან დადო, დახლიდან თავისი ფული მიითვალა და ქოლგის კაკუნით კიბე აიარა.

— ვაა, — სახტად დარჩა მეყვავილე — მოკვდებოდა, მა რა მოუვიდოდა იმ ცხონებულს შენ ხელში! — სიმწრით ქოთნები აქეთ-იქით მიდგა-მოდგა და „ხიფთა“ რომ გაეუვნებლა, საყვავილეში წყალი მიასხმოასხა. მერე უცებ კონას ხელი დაავლო, ვეფხის ნახტომით კიბისთავზე გზა გადაუჭრა თეთრ ბუმბულს და ყვავილები ხელში ჩაუდო:

— იმ ცხონებულს ჩემი სახელით მიართვი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთ-ერთი საზრუნავი

ძნელია წარმოიდგინოთ ადრეულ ასაკიდან სმენადაკარგულ ბავშვთა მშობლების მდგომარეობა. ზოგი სასოწარკვეთილებამდეც კი მიდის, სრული უიმედობა ეუფლება, შვილი დაღუპულად მიაჩნია. პატარა თავდაპირველად ვერ გრძნობს საკუთარი უბედურების სიმძიმეს, რომ ვერასოდეს გაიგონებს ყველაზე სანუკვარ ხმას — დედის ხმას. მას ხომ დახშული აქვს სამყაროს ხმების კარები. რასაკვირველია, ბედის განაჩენი მძიმეა, მაგრამ სმენის დაკარგვა არ უნდა მივიჩნიოთ ადამიანის დიდ უბედურებად, თუ კი ბავშვი მეტყველებს.

სმენისა და მეტყველების—ორივეს ერთად დაკარგვა საკმაოდ მძიმე დეფექტია, ასეთ შემთხვევაში ადამიანს უძნელდება ადამიანებთან სრულფასოვანი კონტაქტების დამყარება.

ჩვენი პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ავადმყოფი ბავშვების მიმართ. დედა-სამშობლოს სიკეთე განუზომელია, სიკეთე კანონად ქცეული! ამასვე მეტყველებს ჩვენი კონსტიტუციის მაღალჰუმანური სტრიქონები. მეტად ძნელია საჟურნალო სტრიქონში მოაქციო ის დაკანონებული სიკეთე, რასაც ჩვენი სამშობლო სმენამოკლებულ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საკეთილდღეოდ იჩენს. ვის შეუძლია ჩამოთვალოს ყველა ის კეთილშობილი გულისხმიერი ადამიანი, რომელთაც ცხოვრების მიზნად ბედისაგან დაჩაგრულ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმე გაუხდია. ჩვენს ქვეყანაში სმენამოკლებულ ბავშვთა 700-ზე მეტი სკოლამდელი აღზრდის ჯგუფია, სადაც რვა ათასი ბავშვი იზრდება.

ვის ძალუძს გადმოსცეს ის სიხარული, რასაც აღმზრდელი და მშობელი განიცდიან, როცა ყრუ ბავშვი ძვირფას სახელს „დედას“ გარკვევით წარმოთქვამს.



სურდოპედაგოგიკის ისტორიაში ბევრი ისეთი მაგალითია ცნობილი, როდესაც დაბადებით ყრუ ადამიანს მიუღწევია განვითარების მაღალი საფეხურისათვის, არ გაძნელებია ადამიანებთან ურთიერთობა და უცხო ენასაც კი დაუფლებია. ეს ყოველთვის პედაგოგთა ყოველდღიური შრომის, უდიდესი მოთმინების, საკუთარი ძალისადმი რწმენის, მტკიცე ნებისყოფის, ადრეულ ასაკიდანვე სწავლების სწორად წარმართვის შედეგი იყო. ამიტომ ენიჭება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა დეფექტის მქონე ბავშვთა სკოლამდელ აღზრდას.

ამ რამდენიმე წლის წინათ, დიღომში ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სანატორიუმის ტიპის სადღეღამისო რესპუბლიკური ბაგა-ბაღი გაიხსნა. აქ უფასოა ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა ჩაცმა-დახურვა, კვება, მოვლა-პატრონობა და სწავლა-აღზრდა. ამ დაწესებულებას ბევრი ქომაგი და ხელშემწყობი ჰყავს. ბაგა-ბაღს შეფობს საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება (თავმჯდომარე ი. გეტაშვილი), თბილისის ყელ-ყურ ცხვირის ინსტიტუტი (დირექტორი აკადემიკოსი ს. ხეჩინაშვილი), თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა (დირექტორი ს. ქარჩავა)...

ბაგა-ბაღი შერეული ტიპისა გახლავთ. ყრუ ბავშვების გვერდით ნორმალური სმენის ბავშვების ჯგუფიც არის. ამჟამად აქ აღსაზრდელთა რვა ჯგუფია. სავსებით სწორი გამოდგა ყრუ, სმენადაქვეითებულ და ნორმალური ბავშვების ერთობლივი აღზრდის მეთოდი, რომელიც სულ უფრო იხვეწება და სრულყოფილი ხდება.

ბაგა-ბაღს, დღიდან დაარსებისა, მეგი ბაიბურთელი ხელმძღვანელობს. მან დიდი ამაგი დასდო ამ დაწესებულების რეორგანიზაციის საქმეს. ქ-ნი მეგი უსაზღვრო მადლობით ლაპარაკობს რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკების უდიდეს დახმარებაზე, რომელიც მათ ბაგა-ბაღს მისი დაფუძნებისას აღმოუჩინეს. მეგი ბაიბურთელი თავისი საქმის კარგი მცოდნეა. მისი აზრით, სმენამოკლებული ბავშვი ბაგა-ბაღში ორი წლიდან უნდა მივაბაროთ, რადგან სმენის დეფექტის მქონე ბავშვის მეტყველების განუვითარებლობა უმთავრესად ფსიქიკურ ჩამორჩენილობასთან არის დაკავშირებული. სმენადაქვეითებული ბავშვი ნაკლებად ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს მეტყველ ბავშვებთან, გარემომცველ სამყაროზე შეზღუდული წარმოდგენა აქვს. ყოველივე ეს იწვევს ბავშვის გონებრივ განუვითარებლობას. ადრეულ ასაკში სმენადაქვეითებული ბავშვის სწავლა-აღზრდის ნორმალურად წარმართვაზეა დამოკიდებული მისი მომავალი, ვინაიდან ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ბავშვის ძირითადი ჩვევები, მისი ხასიათი სკოლამდელ ასაკში ყალიბდება, ღვივდება თესლი ჭეშმარიტი ცნობიერებისა. ამიტომ სმენის დეფექტის მქონე ბავშვების მშობლები ვალდებულნი არიან დროულად მიიყვანონ შვილები სკოლამდელ დაწესებულებაში. ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში დაგვიანებით მიყვანა აჩლუნგებს აღსაზრდელის გონებას, დაკარგული დროის ანაზღაურება კი ძალიან ძნელი ხდება. რაც მთავარია, ბაგა-ბაღში სმენადაქვეითებული ბავშვები მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან მეტყველ ბავშვებთან, ეს კი საუკეთესო შედეგს იძლევა. თუ სმენადაქვეითებულ ბავშვს დროზე მივიყვანთ ბაგა-ბაღში, იგი მონდომებით იმეცადინებს, მეტყველ ბავშვთა რიგებშიც ჩადგება და სკოლაში მათთან ერთადაც შესძლებს სწავლას.

ბაგა-ბაღში იღებენ სმენის დეფექტის მქონე 2-3 წლის ბავშვებს რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან. ორ წლამდე კი გამონაკლისის სახით ის აღსაზრდელები მიიღებიან, რომელთაც დედ-მამა ყრუ ჰყავთ.

ბაგა-ბაღის კოლექტივის ყველა წევრი ამ მეტად კეთილშობილური საქმისათვის არის მოწოდებული. ღრმად აქვთ შეგნებული ის მოვალეობა, რაც მათ ეკისრებათ ყრუ პატარა მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ, არანაკლებია ყრუ ბავშვის აღზრდის საქმეში მშობლის როლი. სამწუხაროდ, დღესაც არიან ისეთი

მშობლები, რომელთაც ვერ შეუგნიათ ყრუ ბავშვისათვის სკოლამდელი აღზრდის უდიდესი მნიშვნელობა. შვილი დროულად არ მიჰყავთ ბაგა-ბაღში. შინ დარჩენილი პატარა იზოლირებული რჩება, ცდილობს თავი აარიდოს ადამიანებთან ურთიერთობას. არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც შვილებს უცხო პირთა თანდასწრებით ხმის ამოღებას უკრძალავენ. ასე გასინჯეთ, სამკურნალო დაწესებულებებსაც კი უმალავენ შვილის დეფექტს, ესირცხვებათ მისი ნაკლი: ასეთი მშობელი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს თავის შვილს. და, საერთოდ, დეფექტის მქონე ადამიანის აღზრდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

რაიონში მცხოვრებ მშობელთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ეძნელებათ ორი-სამი წლის ბავშვის დედის კალთიდან მოცილება, თანაც „სხვის ყბაში ჩავარდნისა“ ეშინიათ: ესაო და, თავიდან მოიცილა მძიმე ტვირთი, ვიღაცას მიუგდო ავადმყოფი შვილი გასაზრდელადო. ასეთი მშობლების საქციელი დანაშაულს უდრის!

ბაგა-ბაღში ყოველნაირი პირობაა შექმნილი ყრუ ბავშვის აღსაზრდელად. ყოველ ჯგუფს ცალკე აქვს საკუთარი საძინებელი და სასადილო, სათამაშო ოთახები, სააბაზანო, პირსაბანი და ტუალეტი.

ბაგა-ბაღის სამედიცინო მომსახურების კაბინები აღჭურვილია სამედიცინო ტექნიკის უახლესი მიღწევებით, მომარაგებულია საჭირო მედიკამენტით.

სურდოლოგიურ კაბინეტს ექიმი რ. დავიდოვა ხელმძღვანელობს. კვირაში ერთხელ ბაგა-ბაღის სურდოლოგებს კონსულტაციას უწევენ აკადემიკოსი ს. ხეჩინაშვილი და დოცენტი ი. მეუნარგია. ისინი ბაგა-ბაღში მიღებულ სმენადაქვეითებულ ბავშვს უკეთებენ აუდიოგრამებს, ადგენენ სმენის დეფექტის ხარისხს, უნიშნავენ მკურნალობას. იწყება დაუღალავი ვარჯიში სმენის ნარჩენის შესანარჩუნებლად და გასავითარებლად; თვალყურს ადევნებენ ბავშვებს მეცადინეობის პროცესში, წლის ბოლოს ხელახლა უკეთებენ აუდიოგრამებს, ამოწმებენ, ვარჯიშის შედეგად რამდენად განუვითარდათ ბავშვებს სმენითი ყურადღება და აღქმა.

სამედიცინო ოთახებში დადგმულია კოლექტიური სმენის აპარატურა, რომლითაც ერთდროულად 12 ბავშვი მეცადინეობს. აქვეა ბგერების დასაყენებელი ინდივიდუალური აპარატი. სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში პატარებისათვის დაამზადეს სპეციალური მაგიდები აპარატი „სპექტრი“ — 12-ის დასაყენებლად. ბაგა-ბაღის სურდოპედაგოგები ხშირად იგზავნებიან ჩვენი ქვეყნის იმ ქალაქებში, სადაც ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის მრავალი წლის გამოცდილება აქვთ.

თანდათან ისხამს ხორცს მშობელთა და აღმზრდელთა ოცნება. სმენადაქვეითებული პატარები მხარს გაუსწორებენ მეტყველ თანატოლებს — ჯანმრთელ ბავშვებს.

**ელენე შარვაშიძე,**
**ბიულეტენ „ექოს“ პასუხისმგებელი მდივანი.**



ბაგა-ბაღის გამგე მ. მაისურაძე და აკადემიკოსი ს. ხეჩინაშვილი აღსაზრდელებთან



# მასკური

(ძველი ბოლშევიკის მოგონება)

1924 წლის ვაზაფხულზე ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილებამ მასწავლებელთა გადასამზადებელ ორთვიან კურსებზე გამგზავნა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში.

მუხური მდინარე ხობისწყლის პირას მდებარეობს. იგი საუცხოო დასასვენებელი ადგილია და მნახველს თვალს სტაცებს ბუნების სიმშვენიერით, ჯანღონეს მატებს ჟანგბადით მდიდარი, გრილი ჰაერით. ასე რომ, აქ კურსების მოსმენა ყოველი ჩვენთაგანისათვის დიდად სასიამოვნო იყო.

ბეჯით სწავლაში გაიარა ორმა თვემ. მეცადინეობა დამთავრდა. სამოცამდე კურსდამთავრებული შევიკრიბენით დარბაზში, სადაც სიტყვა წარმოთქვა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ გრიგოლ როგავამ. ორატორის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვის შემდეგ მასთან ერთად გადავიღეთ სამახსოვრო სურათი.

გამოსაშვები ბანკეტი ესტატე ბენდელიანის ოჯახში უნდა გამართულიყო, მაგრამ ბანკეტამდე რამდენიმე საათი რჩებოდა და გადავწყვიტე, უკანასკნელად შემევლო თვალი მუხურის თვალწარმტაცი მიდამოებისათვის.

და აი, ყველასათვის საყვარელ ადგილას — „ნაცხას" ხიდზე ვიდექი და, მოაჯირს დაყრდნობილი, ლუგელიდან მონაბერი მასკურით* ვტკბებოდი.

მთის სწრაფი მდინარე გიჟმაჟად მიაქანებდა მომწვანო ლურჯ ტალღებს. ახლაც არ ვიცი, რატომ იყო ტალღები ასე წარმტაცი. ეგებ იმიტომ, რომ ღრმა ძილისაგან გამოფხიზლებული ხეების კვირტებდამსკდარი ტოტები ირეკლებოდა მათში!

ოცნებამ გამიტაცა. უცებ ქალიშვილის ხმა ჩამესმა:

— არ გაინძრე, არც ჩემკენ მოიხედო! დაე იფიქრონ, რომ ჩვენ, გამიჯნურებულნი, მდინარის ჩხრიალითა და მთიდან მონაბერი მასკურით ვტკბებით.

ქალიშვილის ბრძანებას დავყევი. მონუსხულივით ვიდექი და ყურს ვუგდებდი ყოფილი თანაკლასელის, ამჟამად ჩემი კოლეგის — თამარის ჩურჩულს:

— კარგად იცი, რომ მამაჩემს ჭირივით სძულს კომუნისტები. არც მე მეხატებიან გულზე, მხოლოდ შენ ერთი ხარ გამონაკლისი, თუმცა ამას არაფრად აგდებ. რა თქმა უნდა, შენ მართალი ხარ: მე მენშევიკის შვილი ვარ, მენშევიკების პარტიაში ვირიცხები და როგორ შემიყვარებ, შენ ხომ მტკიცე ბოლშევიკი ხარ... მაინც არ მინდა დაიღუპო და ამიტომ მოვედი შენთან... ოღონდ შენ გადარჩი და სხვები თუნდაც სულ გაწყვეტილან... მე ვუღალატე მამაჩემს, ვუღალატე ჩემს პარტიას და შენთან მოვედი. მოვედი, რათა გაგაფრთხილო...

მე ვგრძნობდი მის სიახლოვეს, ვგრძნობდი მის ბაგეთა ნაზ თრთოლვას, მაგრამ უკან მიხედვა არ შემეძლო. თამარი განაგრძობდა:

— ხვალ, 28 აგვისტოს, საქართველოს მენშევიკური პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოში შეიარაღებული გამოსვლა მოხდება. შენზე იყო ლაპარაკი, როგორც თემკომის მდივანზე, — უნდა მოვკლათ, თორემ ისე იარაღს არ დაგვანებებსო...

ვუსმენდი თამარს, და თანდათან ვრწმუნდებოდი მისი ნათქვამის სიმართლეში.

— ახლა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ! იცოდე, არ გამცე, თორემ ამ საიდუმლოს გამჟღავნებას არავინ მაპატიებს. მამამ კიდევ შეიძლება დამინდოს, მაგრამ პარტია არამც და არამც არ მაპატიებს. რაც შეეხება ჩემს სიყვარულს, მას ამ მთის მასკურს ვატან!.

ვეღარ მოვითმინე და თამარისაკენ მოვბრუნდი. ქალიშვილმა ფერიასავით გაიწვდინა ორივე ხელი იქით, საითაც მასკური ქროდა, და თან სული შეუბერა. მერე მყისვე შეტრიალდა, ადგილს მოსწყდა და იქაურობას განშორდა.

გამოსაშვებ ბანკეტს აღარ დავესწრებივარ. დაუყოვნებლივ გავეშურე სოფელ ჭოღას და თემის ყველა კომუნისტი და კომკავშირელი ავარიდე მოსალოდნელ საფრთხეს.

მენშევიკების გამოსვლები დამარცხდა, მაგრამ ჩემდამი მტრულად განწყობილმა „კოლეგებმა" იმდენი იღონეს, რომ თავიდან მომიცილეს და შორეულ სოფელში გადამიყვანეს მასწავლებლად. მალე მოხალისედ ჩავეწერე წითელ ჯარში და ჩემი ცხოვრება ამ გზით წარიმართა.

**გ. ციალაძე.**

* „მასკური" — ლუგელიდან მარად მონაბერ სიოს მუხურელები მასკურს ეძახიან.

---

ეთერ მეზურიშვილი

## ამაღლება

მზე მისახსოვრეს ლაღმა მერცხლებმა
და ვეფერები ბავშვურ ხელებით.
დღეს უსათუოდ ცა გამეხსნება
შენი ღიმილის ცისარტყელებით.
რომ დიდი ფიქრის სინათლე გიქო,
მე ვაყურადებ ახალ სამუშებს.
ვენახში ვდგავარ ცოცხალი ჭიგო,
ყელზე მეხვევა რქა სამამულე.
ეფოფინება ველ-მინდვრებს ქარი,
ფრთებზე აშრება ცვარი-ემბაზი.
და მე ვმაღლდები ამ მთის და ბარის
სიყვარულსა და ერთგულებაში.

* * *

ტყემლის, ალუბლის ფიფქები —
ისე გავიდა აპრილი —
ერთხელ არ შემიმჩნევია
თმაზე და მხრებზე დაყრილი.
ერთხელ არ გავბრუებულვარ
სურნელით ტყეთა, მინდორთა,
ერთხელაც არ შიმღერია
იმ ხმაზე, მე რომ მინდოდა!

## ბარტყი

ბარტყს ტანთ ბუმბლი ჯერაც არ ჰქონდა,
ბაღში, ხის ძირას ეგდო უსულოდ...
და დედა ჩიტის გოდებით თრთოდა
ბაღი მდუმარე და გასუსული.
მას ღიღლ-ბუსუსი ოდნავ ეძვროდა,
ნისკარტში ჰქონდა გაჩრილი ფინჩხა,
და მე ვხედავდი, როგორ ეწვოდა
ძუძუ, რომელიც არ ჰქონდა სკვინჩას.

საქართველოს სახალხო მხატვარს ნათელა იანქოშვილს დაბადების [illegible] წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია, მრავალრიცხოვანი მკითხველი გულითადად ულოცავს იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.



# ნათელა იანქოშვილი

ნათელა იანქოშვილის შემოქმედება გამოირჩევა ღრმა შინაარსით, შინაგანი ძალით, დაძაბული ძიებით, ჭეშმარიტი მხატვრული გემოვნებით. იგი გულწრფელი მღელვარებით, დიდი სიყვარულით ასახავს საყვარელი სამშობლოს სილამაზეს, მის გმირულ წარსულს, ბრწყინვალე სინამდვილეს, დიად მომავალს.

მხატვრის შემოქმედება აღბეჭდილია გულწრფელი სიყვარულით, დიდი შემოქმედებითი მღელვარებით, რასაც ძველად საქართველოში აღნიშნავდნენ ერთი სიტყვით — „მდუღარება სულისა“.

შალვა ამირანაშვილი,
აკადემიკოსი.

ძვირფასო ნათელა, აღტაცებული ვარ თქვენი ნიჭით, გაბედულებით და ფუნჯის ვაჟკაცური ძალით. მადლობა ამ სიამოვნებისათვის.

მოსე კაგანი,
ფილოსოფიის დოქტორი, ესთეტიკოსი.

მრავალი დაღლილი მზე (როგორც ქართლში იტყვიან) გაეცილებიოს და მრავალს შემოქმედებით აღსავსე განთიადს შეხვედროდეს თქვენი ზღაპრული ყალამი, რათა ერთხელ კიდევ გვითხრათ: „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები!“

ანა კალანდაძე

ნათელა იანქოშვილს ჩვენ პორტრეტული ჟანრის უბადლო ოსტატად ვიცნობთ. მაგრამ ამ ბოლო დროს მისი პეიზაჟების სრულყოფილებამ, მკვეთრად გამოხატულმა ინდივიდუალურმა, ვაჟკაცურმა შემართებამ ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა, რომ მის ქალურ სინაზეში იმდენა ცეცხლია ქართული ფერწერული სულისა, რომ ბევრ ქართველ თუ სხვა ერის ვაჟკაცსაც შეშურდებოდა.

კოგა გურული

მოგვაჯადოვეთ, აღტაცებაში მოგვიყვანეთ ფერთა ლივლივით და კოლორიტით. ხატეთ, თქვენი ფუნჯი სასწაულს ახდენს. ეწვიეთ ქალაქ გორკის.

იაკუბის ოჯახი

ჩინებული ფერწერული პორტრეტები და პეიზაჟები. საუცხოო გრაფიკა! წარმოდგენაც კი არა გვქონდა, რომ ჩვენთან, კავშირში ყოფილა ასეთი გასაოცარი მხატვარი. და ეს მხატვარია მიმზიდველი ქალი — ნათელა იანქოშვილი. დიდად დასანანია, რომ აქამდე ვერ გამოინახა შესაძლებლობა ლენინგრადში მისი გამოფენის მოწყობისა.

ა. ი. და გ. ი. ფიშრუტები



ზანა ფაჩუაშვილი

## ნათელასადმი

გახსოვდეთ თქვენი მეგობარი, რომელიც დიდ ვალშია თქვენს წინაშე!

ნიკოლას გილიენი,
კუბელი პოეტი.

გარდა სხვა მადლისა, საქართველოში მე ჩემი მშობლიური მხარე ვიხილე. ნათელა იანქოშვილის ნაწარმოებებში კი ნათლად ჩანს თქვენი ქვეყნის ათასწლოვანი ცივილიზაციის წმინდა სახე. გამაოცა მხატვრულმა დონემ და ფუნჯის სილაღემ.

მიმო მორინა,
იტალიელი პოეტი.

# ნათელა იანქოშვილი



იყალთო



მედეა ჯაფარიძე



გოგუცა კუპრაშვილი შვილიშვილით




აკაკი წერეთელი და პატარა გოგუცა კუპრაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგუცა კუპრაშვილი

ქართულ სცენას არასოდეს უგრძვნია ტალანტების ნაკლებობა. მას მუდამ ამშვენებდნენ ხელოვნებისათვის თავდადებული, ხელოვნების თავდავიწყებით მოტრფიალე ადამიანები, რომლებიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ერის საუნჯეს: ქართულ ენასა და ქართველი კაცის სულიერ სამყაროს.

ყოველი ერი შეჰხარის თავის მომავალს — ახალგაზრდობას. მთელ თავის იმედს მასზე ამყარებს, იგი კეთილი მომავლის ერთ-ერთ საფუძვლად, დედაბოძად მიაჩნია. ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდა, მისი მრწამსის ჩამოყალიბება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ყოველი ერისათვის. სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება თეატრალური ხელოვნებაც. და, რაოდენ დასაფასებელია ის, ვინაც მთელი შეგნებული ცხოვრება თეატრსა და ახალგაზრდობას შესწირა.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გოგუცა კუპრაშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების 70 წლიდან 50 თეატრს შესწირა, ბევრი რამ გააკეთა მისი დიდებისათვის.

გოგუცა კუპრაშვილი თეატრალურ მოღვაწეთა იმ შესანიშნავ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის თავკაცობით დასაბამი მისცა ქართულ საბჭოთა თეატრს და კიდითკიდემდე განადიდა მისი სახელი.

თეატრის სიყვარული ადრე გაუჩნდა...

ბავშვობაში ჩასახულმა ოცნებამ აიძულა მშობლებისაგან ფარულად ჩაებარებინა მისაღები გამოცდები იმჟამად არსებულ აკაკი ფალავას თეატრალურ სტუდიაში.

მისაღებ გამოცდებს კ. მარჯანიშვილი, ალ. ახმეტელი, ვ. იპოლიტოვ-ივანოვი, გ. ახვლედიანი და საბჭოთა კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. კოტე მარჯანიშვილს არ გამოჰპარვია „ციცქნა გოგოს" შესანიშნავი აქტიორული მონაცემები და, სტუდიაში ჩარიცხვის შემდეგ, პანტომიმა — „მზეთა-მზეში" ზანგი ბიჭის ეპიზოდური როლის განსახიერება მიანდო; საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყოველი სპექტაკლის დაწყების წინ შოკოლადის ფილას უგზავნიდა დამწყებ მსახიობს:

„გრიმი ამით გაიკეთოს, ნორჩი კანი აქვს, მალე გაუფუჭდებაო".

რუსთაველის სახელობის თეატრი, სადაც აკაკი ხორავას, უშანგი ჩხეიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო გოძიაშვილის, თამარ ჭავჭავაძისა და სხვათა ნათელი ტალანტი და დაუოკებელი სული მღელვარებდა, შესანიშნავი სკოლა იყო სტუდიელთათვის, და მათ შორის გოგუცა კუპრაშვილისთვისაც, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა ბრწყინვალე კოლექტივის საშემსრულებლო კულტურამ.

სტუდიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მსახიობი რუსთაველის თეატრში დატოვეს. აქ მან 1928 წლამდე დაჰყო. იმ წელს მიხეილ ჭიაურელის, დოდო ანთაძისა და გრიგოლ მიქელაძის ინიციატივით შეიქმნა საქართველოში პირველი საბავშვო თეატრი — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი ჩაუდგა. სწორედ ამ თეატრს დაუკავშირა გოგუცა კუპრაშვილმა თავისი შემოქმედება.

ძალზე მძიმე პირობებში დაიწყო თეატრმა არსებობა: ახლადშექმნილ კოლექტივს არ ჰყოლია წინაპარი, არ ჰქონია ტრადიციები, ქართული საბავშვო პიესები, ამას სცენისა და სარეპეტიციო ოთახების უქონლობაც დაერთო.

მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედება ყოველთვის იმარჯვებს და ამ შემთხვევაში, მოზარდთათვის შექმნილი ახალგაზრდა თეატრიც არ იყო გამონაკლისი: მალე გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები, დრამატურგები. მათი, როგორც იტყვიან, სული და გული იყო გოგუცა კუპრაშვილი. სწორედ მან და მისმა მეგობრებმა შექმნეს ახალი თეატრის ისტორია.

მსახიობმა გ. კუპრაშვილმა, რომელიც წლების მანძილზე განსაზღვრავდა თეატრის შემოქმედებითს პროგრამასა და სტილს, ასზე მეტი გმირი აამეტყველა თავის ენაზე. ხშირად აღნიშნავდნენ მისი შემოქმედების ორიგინალობას, საკუთარ სტილს. მაგრამ სტილი, თუ მას ოსტატობაც არ ახლავს, არ არსებობს. ეს თეატრში მოსვლისთანავე იცოდა მსახიობმა. იგი დღითიდღე, გამუდმებით მუშაობდა თავისი შესაძლებლობების დახვეწასა და სრულყოფაზე. გმირის ხასიათის ჩამოყალიბებაში შეჰქონდა თავისი, განუმეორებელი. მისთვის ყოველთვის უცხო იყო „სახის" მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება. უყვარდა გმირი, ცდილობდა მისი ბუნების ბოლომდე გახსნას... მსახიობისათვის უცხო იყო დიდი და პატარა როლების განსხვავება, მუდამ ერთნაირი მონდომებით მუშაობდა.

ყოველივე ზემოთ თქმულისა და, უცილობლად, შემოქმედების საკუთარი „საიდუმლოებების" საშუალებით შეძლო გოგუცა კუპრაშვილმა — ჭეშმარიტად სახალხო მსახიობმა — იმ მრავალფეროვან სახეთა გალერეის შექმნა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის საგანძურში.

გიქორის, ვახუშტის, ფირუზას და სხვა სახეთა ბრწყინვალედ განმსახიერებელს ყველგან სცნობდნენ, პატარები ვერ ფარავდნენ გულის სიღრმიდან ამოსულ სიხარულს და ხმამაღლა ალაპარაკდებოდნენ ხოლმე ქუჩაში, ავტობუსში, ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა მსახიობი. ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. იგი პოპულარული, ახლობელი, საყვარელი მსახიობი გახდა. სამუშაოც ბევრი ჰქონდა...

... მაგრამ, რატომღაც კიდევ ერთი „იშვიათი თვისებაც" აღმოაჩნდა — „უდროო დროს" წავიდა თეატრიდან...

— რა კარგი იქნებოდა, მსახიობის შემოქმედებას საზღვარი რომ არ ჰქონდეს! ამ აზრთან შერიგება საერთოდ უჭირს შემოქმედს. „იქნებ ვინმეს ჰგონია, იოლად შევურიგდი თეატრიდან წასვლას... მაგრამ ხომ სჯობს, რომ სცენაზე მუდამ ახალგაზრდას გიგონებდნენ, ვიდრე მოხუცებულს!" — ამ სიტყვებით „გაიმართლა" თავი გოგუცა კუპრაშვილმა თავის თაყვანისმცემლების წინაშე.

გავიდა დრო... ქალბატონ გოგუცას ახალი საზრუნავი გაუჩნდა — შვილიშვილი. ხშირად შეხვდებით მას პატარა, ცისფერთვალება გოგონასთან ერთად მოსეირნეს, თერთმეტსართულიანი სახლის უკან მდებარე სკვერში.

— აბა, შინ დავბრუნდეთ, ფეხბურთი იწყება ბებიკო!

ქალბატონი გოგუცა ფეხბურთის უზომო მოტრფიალეა. ხალხის საყვარელ მსახიობს თავისი კერპი ჰყავს სპორტში — დავით ყიფიანი...

დილიდანვე მრავალი საქმე აქვს: შეხვედრა სკოლასა თუ საბავშვო დაწესებულებებში, მეგობრის საიუბილეო საღამო... ახალგაზრდა კოლეგებიც ხშირად „აწუხებენ". თავის მხრივ, ქალბატონი გოგუცა მდიდარ გამოცდილებასა და დიდ პრაქტიკულ ცოდნას უზიარებს მათ.

საღამოს კი, მიუჯდება საწერ მაგიდას და გარდასულ დღეებს აცოცხლებს ქაღალდის ფურცლებზე. მის სამუშაო ოთახში, რომელსაც თამამად შეიძლება პატარა მუზეუმიც ვუწოდოთ, მრავალი სამახსოვრო საჩუქარი თუ ძვირფასი რელიქვიაა. ოთახის ერთი კუთხე შვილიშვილის სათამაშოებს აუვსია. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ნაჭრისაგან შეკერილ თოჯინას; ეს ის თოჯინაა, რომლითაც ამ შვიდი ათეული წლის წინათ პატარა გოგუცა ერთობოდა, ის პატარა გოგუცა, რომელსაც დიდმა აკაკი წერეთელმა დაულოცა ცხოვრების გზა...

**ნუკრი ფაცურია**
რეჟისორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყამირის გატეხა კომუნისტური პარტიის დიადი იდეაა



# დედაშვილობა

ელენე მაყაშვილი ორი შვილის დედაა. უფროსი ნოდარი ცელქია, ხშირად გაოფლილი, მუხლგადატყავებული შემოდის სახლში, ბურთს გარეთ ტოვებს და პირსაბანთან მიდის. ირინე მასზე ოთხი წლით პატარაა. როგორც გოგო, წყნარია, თოჯინებით ერთობა და ლამაზსურათებიან წიგნებს ფურცლავს. ირინე ძმას აღმერთებს, იგი მისი დამცველია. ძმას კი ირინეს სინაზე ამშვიდებს. ხიფათებისა და თავგადასავლების მაძიებელ ბიჭუნას ზოგჯერ უკან ახევინებს.

ოჯახში დედმამაა მაგალითი. მათგან ისწავლება ხმადაბალი ლაპარაკი, კეთილშობილება, ადამიანის სიყვარული, დახმარება, შრომისმოყვარეობა, ცოდნისაკენ სწრაფვა.

შვილების მამა — მიხეილ ნოდია საზოგადოებაში დაფასებული, აღიარებული მეცნიერი მეუღლესთან ერთად ის ღრმად შესასწავლი წიგნია, რომელსაც ყოველდღე, ყოველ საათს შლიან ბავშვები და კითხულობენ...

ერთ დღეს ნოდარი პიონერული ყელსახვევით შემოდის სახლში, ფრთხილად იხსნის და, რომ არ დაეჭმუჭნოს, ფრთხილადვე ინახავს. მას ფიცი აქვს დადებული, ყელსახვევი არ შეარცხვინოს.

ნოდარი სკოლაში ძლიერი მოწაფეა. დედას არ ეშინია, რომ მასწავლებელი საყვედურს ეტყვის — მოაზროვნე, გონიერი, ცოდნასმოწყურებული ბავშვი მუდამ ხელაწეული ზის მერხზე.

და უყვარს ამხანაგები. ამხანაგები კი მის მზეს ფიცულობენ. მისი უაღრესად კეთილი სახე, სისპეტაკე, მოყვასის სიყვარული ყველას ერთნაირად იმორჩილებს. არ შეიძლება ნოდარს იცნობდე და არ გიყვარდეს.

შვილი თანდათან იზრდება. ის აქტიური კომკავშირელი ხდება, აზრები უყალიბდება, მომავლის გზებზე ფიქრობს, ზემტკიცე მეტალის შექმნაზე ოცნებობს, თავისი ოჯახით — დედით, მამით და დით სულდგმულობს.

— რა ბედნიერები არიან! — შეჰხარიან კეთილ ოთხეულს.

ნოდარი სტუდენტია, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გამოირჩევა. თანაკურსელები მასში ნახულობენ ცოცხალ აზრებს, მომავლის გეგმებს, დიდ შრომისმოყვარეობას და ნიჭს, გასაოცარ გულთბილობას, იუმორს, მეგობრისთვის თავდადებას.

ჰყავს კიდევ ბავშვობის მეგობარი, რომელიც ჯარიდან უგზავნის წერილებს.

და როცა იგი ჩამოდის, ნოდარი ხარობს. მერე დიმიტრის აიძულებს იმ წელსვე ჩააბაროს მისაღები გამოცდები უმაღლესში. რა თქმა უნდა, ერთად მეცადინეობენ, ერთად იხსენებენ სასკოლო პროგრამას და დიმიტრი მახარაძე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია.

ნოდარი მოსკოვში ეუფლება მეცნიერებას. ქართველი ასპირანტი აკადემიკოს კურდიუმოვთან და მის თანამშრომელ კრიცკაიასთან სწავლობს, იცავს დისერტაციას მეტალის ფიზიკაში, მოსკოვში დარჩენაზე უარს ამბობს და თბილისისაკენ მოემგზავრება.

მალე მოსკოველ მეცნიერებს აკვირვებს ნოდარის დიდი წარმატება: ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ატომის ფიზიკის ლაბორატორიაში პირველი აყენებს მეტად მნიშვნელოვან ამოცანას — აინშტაინისა და დეგააზის ეფექტს. მისი ლექციები დაუფარავ აღტაცებას იწვევს, განსაკუთრებით — რენტგენის სხივების ფიზიკაში.

ნოდარი ამით არ კმაყოფილდება.

ის ერთმანეთთან აკავშირებს მეტალურგებს და ფიზიკოსებს, რისთვისაც აწყობს ლითონების კვლევის დარგში მომუშავე საქართველოს ყველა სამეცნიერო დაწესებულების გაერთიანებულ სემინარს.

სტუდენტების მესაიდუმლე და აღმზრდელი, 1958 წელს, ყამირის მესამე დალაშქვრისას თან მიჰყვება მათ.

თბილია გამოთხოვება ოჯახთან, განსაკუთრებით — დედასთან.

ყარაბალაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში მოსავალს იღებენ. დილის ექვსი საათიდან ღამის თერთმეტ საათამდე ნოდარი ფეხზეა. დღისით ცხელა, ღამით კი საკმაოდ ცივა. კოღოები მწარედ იკბინებიან.

ქართველი ფიზიკოსები სილოსს დებენ, თივას თიბავენ და ზვინავენ, ბაზებს ასუფთავებენ.

დღეები უფრო იძაბება, მარცვლეულის აღება რომ იწყება. დაღლილდაქანცულები გვიან ღამით მაინც ახერხებენ გართობას, თვითმოქმედებას აჩაღებენ, კინოფილმებს ესწრებიან.

ნოდარი წერილებს უგზავნის დედას, ესაუბრება მას, უყვება იქაურ ხალხზე, ყაზახებზე, მათ გულკეთილობაზე, მეგობრობაზე.

შრომის დღეები იწურება. სექტემბერი დგება. მოულოდნელად დიდი თოვლი მოდის, ყინვა მძლავრობს, ქართველებს უჭირთ, მაგრამ შინ დაბრუნების დროც ახლოვდება.

სექტემბერი. ეს ნოდარის სიცოცხლის უკანასკნელი თვეა. მოსავალს აბინავებს, მადლობებს იღებს. სწორედ ამ თვეში, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ოთხ ჯილდოს აძლევენ.

ერთია თბილისის კომკავშირის კომიტეტის ქების სიგელი

მეორე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელი.

მესამე — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშანი — „ახალი მიწების ათვისებისათვის“.

მეოთხე ოც სექტემბერს გადასცეს ნოდარს — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მის მკერდზე აკიაფდა მედალი „ყამირი მიწების ათვისებისათვის“.

ოცდაორ სექტემბერს უკანასკნელ წერილს გზავნის დედასთან. იტყობინება, პირველ ოქტომბერს საქართველოსკენ გამოვემგზავრებითო.

ოცდასამ სექტემბერს სიკვდილი უსაფრდება, ერთი კვირით ასწრებს სამშობლოსკენ მომავალს: იმ საბედისწერო ღამეს ცეცხლი ედება მეურნეობის ტერიტორიას, დაღუპვა ელის ასიათასობით ფუთ ხორბალს.

ნოდარმა იცის, რომ სიცოცხლეს სწირავს, მაგრამ სხვანაირად ვერ იქცევა.

ლამაზი, მაღალ-მაღალი, შავგვრემანი ჭაბუკი ყაზახეთში კვდება ოცდათორმეტი წლისა.

დედა! — ეს იყო მისი ბოლო სიტყვა. ადამიანი სიცოცხლეს ყოველთვის ამ სიტყვით ამთავრებს.

მის სიცოცხლეს აგრძელებს მისი შვილი თენგიზ ნოდია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ნოდარის დედა ცოცხალია. ის გულით ატარებს უმძიმეს, მოუნელებელ დარდს და უძლებს ამ სიმძიმეს.

მან უნდა იცოცხლოს!

სანამ დედები ცოცხლები არიან, შვილები არ კვდებიან!

ნოდარი მაინც არასოდეს მოკვდება!

ლია კაკაბაძე





# ოჯახი — ერის ბურჯი

თბილისში, მთაწმინდის ძირას, პატარა ბორცვზე ერთი ოჯახი ბინადრობს, ოჯახი — ხმაურიანი, ყიჟინიანი და სიცოცხლის მჩქეფარებით პირთამდე სავსე. ამ ოჯახის დედაბოძს რაისა გველესიანს და მის მეუღლეს ვასილ სალლიანს ოჯახის საძირკვლად სიყვარული ჩაუდვიათ, ცოლ-ქმრობა ერთგულებითა და ურთიერთპატივისცემით შეუდუღაბებიათ, არსობის პური დიდი შრომითა და მოთმინებით გაულეწავთ, კერა გულმოდგინებითა და სასოებით გაუჩაღებიათ. ამით ოჯახი ერის ნამდვილ ბურჯად, მის ურყევ ნათელსვეტად უქცევიათ. მათ ექვსი ახალი სიცოცხლე, ექვსი ნორჩი ნერგი დაურგავთ და უხარებიათ.

ადრეულ ახალგაზრდობას გაჰყვა მღელვარება, შფოთვა და შიში უშვილოდ დარჩენისა. რაისას უსიამოვნო, ფერნაკლულ სიზმრად ექცა იმ დროის მოგონება. დღეს დღე მისდევდა, თვეს — თვე, წელიწადს — წელიწადი... სურვილს ლოდინი სცვლიდა, უიმედობას — იმედის სხივი, უშვილობას — შვილის ყოლის რწმენა... დედობაზე ოცნებაში ოთხი წელიწადი შემოეხარჯა. უსასრულოდ ეჩვენებოდა ეს დრო რაისას.

ნეტავ მომავალი რაღას უქადდა?... ნუთუ უნაყოფობას, უშვილობას, უხალისო სიცოცხლეს და ულიმღამო მოხუცებულობას? არა, არ ნებდებოდა ამ ფიქრს რაისა. მას დედობა სწადდა, მრავალშვილიანობა სწყუროდა. ამ წადილს თავისი უნდა გაეტანა, ახალი სიცოცხლის დაბადება უნდა ეზეიმა.

ასეც მოხდა. ფუჭად არ ჩაუვლია რაისასთვის სვანეთის მედიდურ ბუნებაში გატარებულ გაზაფხულს. სოფელ ცხუმარის მინერალური წყლის აბაზანებმა დედობას აზიარა. ნანატრი პირმშოს დაბადების სიხარული წამლად დაედო მის ყოველგვარ ტკივილს, მის სულსა და გულს. პირველ სიხარულს მალე მეორეც მოჰყვა, მაგრამ დიდი საზღაურით. ამჯერად ბეწვზე ეკიდა დედა-შვილის სიცოცხლე. მხოლოდ სამედიცინო პერსონალის დიდმა თავდადებამ იხსნა ოჯახი უბედურებისაგან. მაშინ ექიმებმა რაისას არასახარბიელო განაჩენი გამოუტანეს და მესამე შვილზე ფიქრიც კი კატეგორიულად აუკრძალეს. რაისა კი თავისებურად სჯიდა: — ექიმებიც ცდებიან ხოლმეო.

მესამე სამშობიარო სახლის მედპერსონალის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რაისა კვლავ სამშობიაროდ მიიყვანეს. — დახეთ, ამ ურჩს, ჩვენს სიტყვას რომ არაფრად აგდებს! — მღელვარება ვერ დამალა დარიკო ჭკუასელმა. გამოცდილი ექიმი მაშინ რას წარმოიდგენდა, რომ ეს „ურჩი" ქალი, მძიმე მშობიარობით კიდევ სამ შვილს გააჩენდა.

ახლა რაისა შვილის გაჩენაზე აღარ ფიქრობს. მრავალშვილიან დედას სხვა საზრუნავი გასჩენია: ვინ როგორ გაზარდოს, რომელი რა გზას დააყენოს, რომ შეურცხვენლად, ნამუსიანი კაცის სახელით იარონ ქვეყანაზე, რომ ქვეყნის ჭირსა და ლხინს თავიანთი სიტყვა და საქმე შეუწონ-შეუფარდონ. ზეზვა უკვე მერვეკლასელია, მოძრავი, მოქნილი, ხალისიანი. უყვარს კითხვა, გატაცებულია ჭიდაობით, თავისუფალ დროს კი ხელში საჭრეთელს მოიმარჯვებს, გაუწაფავი ხელით ქართული ჩუქურთმები გამოჰყავს. ხან დაჟინებით ჭედავს გველეშაპთან მებრძოლ ლეგენდარულ გმირს. დედა გუმანით ხვდება, რომ ეს ზეზვას მისწრაფებაა, გრძნობს, რომ პირველი შვილი მამის კვალს გაჰყვება.

ბეთქილი მეექვსე კლასშია, ყველაზე ანცი და დაუდეგარი. 12 წლის ბავშვს უფროსებთან მეგობრობა იტაცებს, ყველასთან ადვილად პოულობს საერთო ენას; ცეკვავს; ჭიდაობაშიც ბევრი თანატოლი ვერ აჯობებს, სწავლითაც კარგად სწავლობს.

ვალიკო 9 წლისაა. ფეხბურთით არის გატაცებული და კარგი სპორტსმენის კვალობაზე იზრდება. სპორტულ სკოლაში სწავლობს და მიხეილ მესხის ხელმძღვანელობით „ავაზის" გუნდის ღირსებას იცავს. დედას უხარია, რომ ბიჭებს სპორტი იზიდავთ: — შეიძლება სპორტს ბოლომდე არც კი გაჰყვნენ, მაგრამ უსაქმურობისთვის დრო აღარ რჩებათ, ხასიათი და ზნეობა უყალიბდებათ, ჰარმონიულად ვითარდებიან და, რაც მთავარია, სპორტი გარდამავალი ასაკის ბევრ სიძნელეს სძლევს.

ერთადერთი გოგონა — ნინო პირველკლასელია. მას ბევრი არაფერი მოეთხოვება. თუმცა თავის პატარა ძმებს მასწავლებლობას უწევს, „დედაენას" უკითხავს, ლექსებს ასწავლის. სპეციალისტების აზრით, ნინო მუსიკალური ნიჭით არის დაჯილდოებული და კარგი ხმა აქვს, თუმცა საჯაროდ არ ამღერებენ, პატარააო, უფრთხილდებიან, შერგილი და ზვიადი კი ჯერ დედის კალთას ამოფარებიან.

სალლიანების ოჯახში პატიოსანი შრომის ატმოსფერო სუფევს. ყველა შეძლებისდაგვარად ირჯება. უფროსი ბიჭები სურსათსანოვაგეს ეზიდებიან, დედ-მამას საოჯახო საქმიანობაში ეხმარებიან. მამა თავის ხელით არემონტებს ბინას. დედის საქმეს კი, საერთოდ, რა გამოლევს. ამ ოჯახში უცხო თვალს თავისებური ეგზოტიკაც ხიბლავს. აქაურობას სვანური ელფერი დაჰკრავს. აქ სვანური სურნელი ტრიალებს. ეს ოჯახის უფროსის, სრულიად საკავშირო ფესტივალისა და ნიკო ფიროსმანის პრემიის ლაურეატის, მხატვარ ვასილ სალლიანის მარჯვენის მადლია. მხატვრულად დამუშავებული სვანური ავეჯი, გამოყენებითი ხელოვნების მრავალი ნივთი, სვანური ჭინჭილა, სვანური აზარფეშა, დეკორაციული ლარნაკი, ვ. ი. ლენინისა და შოთა რუსთაველის ბარელიეფები, სვანური თქმულებებიდან და ლეგენდებიდან გამოხმობილ გმირთა სახეები მიმზიდველი და შთამბეჭდავია.

ეს ჯანსაღი ემოციური გარემო ბავშვების გონივრული და ესთეტიკური აღზრდა-განვითარების საფუძველია.

**მარიკა გვიმრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დილარ ივარდავა

### ფრიტიოფ ნანსენი

ცხოვრება რაა? შენ განსჯი უკეთ —
ზოგისთვის ფრთაა, ზოგისთვის ტვირთი,
იქნება, როცა ქვეყნებს და... რუკებს
ედება ჭირი, ქოლერა, ფითრი,
რასაც სჭირდება გამსხვლელის თვალი,
იქნებ ეგაა ცხოვრება იგი,
ან, იქნებ, როცა საქვეყნო ვალი,
თვლემს უდრტვინველად გონების შიგნით
და გაიღვიძებს მზე ცისმარადით
უკმარობის და წინსწრაფვის გენი,
იქნებ ეგაა, რასაც ვმალავდით,
იქნებ ეგაა, სიცოცხლის დღენი.
ასეა, ალბათ, მთებსა და ველებს,
რომ მოედება გარდახდა ვალის,
ოდეს მშრომელთა დაკოჟრილ ხელებს,
ოფლით დანალექს, მოაფშვნი მარილს,
იქნებ ეს არის ცხოვრების აზრი,
მწვანედ გაფოთვლა ბიბლიურ ვაზის...
ხარ ადამის ძე და ქვეყნად, მართლაც,
თუკი სინაღდის მძლე საჭეს მართავ,
აშრიალდება სახელი ალვად, —
ვნება გარდიქცეს ვულკანად ლამის,
თუ წამით ყანებს გადასწვავს გვალვა,
თუკი ყინულეთს დაამსხვრევს „ფრამი“.
ჩვენ გავიხსენებთ ანატოლიას,
როცა მიმწუხრის ლამე ავსებდა...
იმ სილატაკის კაკაფონიას
როგორ აჯობა მარტო ნანსენმა.
ის იყო ყველგან ყველას მაშველი,
იმედი, სხივი, ხორბალი, კრონი,
უგუნურობის კლდეთა დამშლელი,
გამჩალებელი ომებთან ომის.
...დღეს წინაპართა ცხოვრების ზოდებს
ნელი-ნელ ვაწყობ და, როცა ვსწავლობ,
საკუთარი „მე“ შემაკრთობს ზოგჯერ,
ამოალდები ყველაფრის ვალო,
დამიმძიმდება სიზიფეს ტვირთი,
სული კი ამ დროს გაფრენას ლამობს
და ვცდილობ მაშინ, რომ გავხდე ზვირთი
ამ ცხოვრებაში დუმილის გამო.
ხშირად მეწვევა წარსულზე სევდა, —
მართლაც ძნელია, იცხოვრო, იყო
და რაშიც ცხოვრობ და რასაც ხედავ,
იმისი ჭირი მისებრ გაიყო...
მაგრამ ო, გვესმის, რადგან მოვედით,
კიდევაც უნდა წავიდეთ ისე,
რომ წუთისოფლის ციდა მოედნის
შევიცნოთ სიგრძე, გემო და სისქე.
ცინცხალ აწონო ძნელია, ძნელი,
ფიქრი და განსჯა შუქ-ჩრდილით სავსე, —
ბევრმა გვიშველა და... ბევრიც გვშველის—
ვინც ჰგავდნენ,
ჰგვანან ფრიტიოფ ნანსენს.

* * *

საგნებს, რომლებსაც სული ვაჩუქე,
მოჯარდნენ ჩემთან...
ლამის გამთელონ,
მაგრამ იცოდეთ, ჩემს სიჩაუქეს
კვლავ შევწირავდი მზის საქართველოს.
ჩანგებს, რომლებსაც ვახმიანებდი,
არ უვარგოდათ სიმი და ბგერა,
მაგრამ თუ სიკვდილს მაინც დავნებდი,
საქართველოს მზეს
ვეტყვი სიმღერას.
ხომ არ იცოდა ქვეყნად არავინ
ჩემი გაჩენის დრო და თარიღი,
დაფარული და დაუფარავი
მაინც გამანდეს ყველა ალიბი.
თუ კი მამხილე
დასაფიცარო,
მეც გაგიქრები ჩემო
ნათელო, —
სადაც არ ვიყო,
კუბოს ფიცარი
მე შენს მიწაში
მსურს, საქართველოვ!
მინდა დამარქვა ერთგული ძაღლი,
შენს გარეშემოს წკავწკავით ვიცავ, —
გავა წლები და...
დამაშვრალს, დაღლილს
მკერდს მომაყარე ქართული მიწა!

## უცხოური იუმორი

ქრისტინა ჟივულსკა

# მოიფიქრა

ᲙᲐᲪᲘ — მისმინე... მინდოდა შენთვის მეთქვა, რომ ამ ბოლო დროს დიდხანს ვფიქრობ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩვენ უნდა დავშორდეთ...

ᲥᲐᲚᲘ — (გაოცებული) ვინ?

ᲙᲐᲪᲘ — მე და შენ, ესე იგი ჩვენ.

ᲥᲐᲚᲘ — არ მესმის, რატომ?

ᲙᲐᲪᲘ — ხასიათით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს.

ᲥᲐᲚᲘ — ამდენ წელიწადს ვეწყობოდით და, ახლა რა მოხდა ისეთი?..

ᲙᲐᲪᲘ — მართალია, თავიდან ასე არ იყო. ამაზე მეც დიდხანს ვიფიქრე. მერე გაზეთებში წავიკითხე დისკუსიები ქორწინების კრიზისის შესახებ და მივხვდი, რომ ჩვენც იგივე გვჭირს...

ᲥᲐᲚᲘ — მერედა, აქამდე ამას ვერ ხვდებოდი?..

ᲙᲐᲪᲘ — მთლად ვერა...

ᲥᲐᲚᲘ — მაშინ ნუ კითხულობ გაზეთებს და ნუ იწუხებ თავს.

ᲙᲐᲪᲘ — ახლა გვიან არის, უკვე წავიკითხე, და ჩვენთანაც იგივე შემთხვევაა.

ᲥᲐᲚᲘ — რომელი შემთხვევა? რას ბოდიალობ?

ᲙᲐᲪᲘ — აი, ეს კრიზისი!

ᲥᲐᲚᲘ — რომელი კრიზისი? კრიზისი მაშინ არის, როცა ხელფასს მთლიანად არ მაძლევ.

ᲙᲐᲪᲘ — აღიარე, რომ ჩვენს შორის ყოველთვის იყო სხვაობა, რომელიც...

ᲥᲐᲚᲘ — გაიზარდა დროთა განმავლობაში... ჩემს ხარჯზე? ასეა არა?

კაცი უტევს...

ᲥᲐᲚᲘ — მართლაც, შენზე ორი კვირით უფროსი ვარ და ეს ორი კვირა შენ ხელს გიშლის?

ᲙᲐᲪᲘ — მე, ჩემთვის ვიფიქრე და მივხვდი, რომ შენ ძალიან გასუქდი... როცა ჩემზე თხოვდებოდი გამხდარი იყავი...

ᲥᲐᲚᲘ — შენ? შენ არ იყავი მსუქანი?

ᲙᲐᲪᲘ — მეც... მაგრამ... კაცებისათვის... სიმსუქნეს მნიშვნელობა არა აქვს. ბოლოსდაბოლოს, მე თუ გავსუქდი... გახდომას მაინც ვცდილობ. შენ კი შენთვის ცომის გუფთებს იმზადებ.

ᲥᲐᲚᲘ — ცომის გუფთებს? და სულ ეს არის?

ᲙᲐᲪᲘ — არა, ზოგჯერ მაკარონსაც ჭამ... რამდენჯერ მინახავს...

ᲥᲐᲚᲘ — აჰა! მაშასადამე, შენ გინდა მაკარონისათვის გამეყარო?

ᲙᲐᲪᲘ — მთლად ასე არ არის, განგებ აუბრალოებ ყველაფერს, გინდა გამომიყვანო წონასწორობიდან. ხომ აგიხსენი, რომ დიდხანს ვიფიქრე, რა ზღუდეებია ჩვენს შორის და... ბოლოსდაბოლოს, ყველაზე მთავარი მაინც იდეოლოგიაა. აღიარე, რომ ერთ ადგილზე გაიყინე, მაშინ, როცა მე... მე ვიზრდებოდი... უნდა გაიგო, რომ როცა ერთი ყვავის, იშლება, იფურჩქნება, მეორე კი — იფერფლება... არა, აღარ შეიძლება ჩვენი ერთად ცხოვრება... ვერ ხვდები, რომ ამ ბოლო დროს ყოფითს ამბებში ღრმად შეიჭერი, მაშინ როდესაც მე...

ᲥᲐᲚᲘ — გეტყობა, შენ შეიჭერი ღრმად! ახლავე მითხარი, ვინ არის ის? ქერა, შავგვრემანი... რამდენი წლისაა?

ᲙᲐᲪᲘ — ქერა... და ისეთი კარგი, სათნო, საყვარელი, ტურფა... თავდავიწყებით, სიგიჟემდე ვუყვარვარ. მაგრამ საიდან მოგივიდა ეს თავში? რა მომენტში მოიფიქრე?

ᲥᲐᲚᲘ — მაკარონის ხსენებისას...

პოლონურიდან თარგმნა ᲘᲜᲒᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დათო გელოდებათ, მშობლებო!



ოჯახი, ბავშვი...

ეს დათოა, თქვენი შვილი, ჩვენი აღსაზრდელი. ჯგუფის ფანჯრიდან ვერცხლისფერი თვითმფრინავი დაინახა პატარამ, თვალები გაუცისკროვნდა, ღიმილით გადმოგვხედა და... ფოტოაპარატმაც ეს მომენტი აღბეჭდა.

— ფიფლივანი! — აღტაცებით შესძახა მან.

— გიყვარს თვითმფრინავი? — ვკითხე მე.

— კი. იქ ჩემი დედიკოა. მოცკოვში წავიდა, სათამაშოები უნდა მიკიდოს, შინ უნდა წამიკვანოს... — ტიკტიკებს დათო.

* * *

თითქმის ერთი წელია, რაც დათო დედამ ჩვენს ბაგა-ბაღში მოიყვანა. იმ დღიდან დათოს აღარც დედა უნახავს, აღარც მამა, არც სხვა ახლობელი, მხოლოდ დედისგან გამოგზავნილი ერთადერთი წერილი გვაქვს; ქუთაისის საავადმყოფოდან ნანა თავის ავადმყოფობას იტყობინება. გვთხოვს დათოს სურათს და მოვლას მის გამოჯანსაღებამდე.

ჩვენი ბაგა-ბაღი სანატორიუმის ტიპისაა. ვმუშაობთ ყოველდღე, განუწყვეტლივ, მხოლოდ აგარაკზე წასვლის წინა დღეებში თუ შეწყდება საქმიანობა რამდენიმე დღით. მაშინ, დათოს ბედში მყოფი ბავშვები თანამშრომლებს მიჰყავთ თავიანთ ოჯახებში და უვლიან — საბავშვო ბაღში მუშაობის განახლებამდე. ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენ დათოს დედის, ნანას თხოვნას ვასრულებთ. მისი ლამაზი, მხიარული ბიჭუნა ლაღად, ხალისიანად ცხოვრობს ჩვენს კერაში.

* * *

—ნანა, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ქუთაისში გინახულათ ერთმა პიროვნებამ. თქვენ არ იცოდით, რომ მას დათოს „შვილად აყვანა სურდა", შეგაცდინათ, დაგარწმუნათ, რომ საბავშვო ბაღი მხოლოდ იანვრამდე შეინახავდა ბავშვს და შემდეგ „ჩააბარებდა", და თქვენ მას ვეღარ იპოვნიდით. დაგადანაშაულათ, რატომ ბავშვი აქამდე არ ნახეთო. იმედი გადაგიწყვიტეს. თქვენც ალბათ დიდი გულისტკივილით შეხვდით დათოს „დაკარგვას". ამ ერთი თვის წინათ დათოს მამიდას ესტუმრეთ გაგრაში, შესჩივლეთ დათოს „დაკარგვის" ამბავი...

თქვენი გაწვალებული დედაშვილობით გულმოკლულმა გადავწყვიტე მოგძებნოთ თქვენ, მოვძებნო დათოს მამა, მისი ახლობლები...

იანვრის ერთ მზიან დღეს მე და დათო გზას გავუდექით. ესეც ვარკეთილის მასივი... კარებზე დათოს გვარი ამოვიკითხე. სიხარულით გული გადამიქანდა; ბავშვი ხელში ავიტაცე. მან პატარა თითი ღილაკს დააჭირა... რამდენიმე წამის შემდეგ იგი მასპინძელივით შეგვიძღვა ბინაში მე და ბებიამისს... სახლში დაგვხვდა პაპაც, ნაშრომი, ნაჯაფი კაცი. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, დათო ოთახებში დაბაკუნობდა, ნივთებს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. მოხუცები შვილიშვილს გაუმასპინძლდნენ, მიუალერსეს, ოდესღაც საალერსოდ შერქმეული ზედმეტი სახელით მიმართავდნენ. დამშვიდობებისას მხურვალედ ჩაკოცნეს, ხელს უქნევდნენ, ჰაეროვან კოცნას უგზავნიდნენ ერთიმეორეს...

ჩვენ საბავშვო ბაღში დავბრუნდით. დათო კმაყოფილი შებაკუნდა ჯგუფის ოთახში. იგი კვლავ მისთვის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა...

„გაშვილებულის" ბედი არგუნა ნანას განგებამ. მისი გათხოვების შემდეგ „დედობილმა" მთელი თავისი ქონება ახლობლებს დაუმტკიცა, შემდეგ — გარდაიცვალა. ამ დროისათვის დათოს მამა, თენგიზი უნებლიე ცხოვრებისეული შეცდომის გამო სასჯელს იხდიდა შრომა-გასწორების კოლონიაში... დაიბადა დათო... იგი ნებივრად იზრდებოდა პაპის ოჯახში. ბოროტმა ხელმა ნანაზე დამამცირებელი წერილი შეთითხნა და პატიმარს შეუგზავნა...

მოსახდენი მოხდა... განაწყენებულმა ქმარმა მუქარა შემოუთვალა... ცოლქმარს შორის შავმა კატამ გაირბინა, ოჯახი დაინგრა, აირია პატარა დათოს ცხოვრებაც... ნანა ბავშვით ხელში დაეძებდა თავშესაფარს და საარსებო წყაროს... პატარას ჩვენმა ბაგა-ბაღმა გადააფარა კალთა...

* * *

— თენგიზ, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ მეტროსადგურ „26 კომისარში" მუშაობთ, რომ ამას წინათ ინატრეთ: ნეტავი ჩემი ბიჭი მაჩვენა, სად დაკარგა ბავშვი დედამო. მე თქვენს მშობლებს ჩვენი ბაგა-ბაღის მისამართი დავუტოვე.

— დათოს „შვილად აყვანის" მსურველი ბევრია, მაგრამ ჩვენ მას არავის მივცემთ, თქვენს გარდა. ის თქვენ გეკუთვნით — შენ და ნანას...

მაშ ასე...

დათო თქვენ გელოდებათ, მშობლებო, თენგიზ და ნანა!

**ზეინაბ მდინარაძე**

ქ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ



# „საქართველოვ, შენ გაგიმარჯოს!“

ამ სიტყვებით დახუჭა თვალი შორეულ ჰამბურგში ლილი პაპე-გეგელაშვილის ერთადერთმა 27 წლის ვაჟმა ულრიხმა. დედასაც მას შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

ახლა ჩემს მაგიდაზე გერმანულ ენაზე გამოცემული ორი წიგნი ძევს „ქართული ხალხური ზღაპრები“ და „ქართული სამზარეულო“, რომლებიც დედა-შვილს დიდი სიყვარულითა და მონდომებით უთარგმნია. აქვეა ლილი პაპე-გეგელაშვილის მიერ ჰამბურგში რუსთაველის 800 წლის იუბილეზე წაკითხული მოხსენება. მასვე მიუწოდებია გერმანელი ბავშვებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული თხრობითი თარგმანი; უთარგმნია აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, მიხ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ირ. აბაშიძის, ნ. დუმბაძის, კ. გოგიავას თითო-ოროლა ლექსი და მოთხრობა; გამოდიოდა რადიოთი, ტელევიზიით, სხვადასხვა შეკრებებზე გერმანელ მსმენელებსა და მაყურებლებს ესაუბრებოდა ძველი კოლხეთის ისტორიაზე, ძველ ქართულ მუსიკაზე, ქართული არქიტექტურის ძეგლებზე და ოქრომჭედლობაზე, ქართული სუფრის კულტურასა და ადათ-წესებზე. მართალია, არა გვაქვს შესაძლებლობა შევაფასოთ თარგმნილი ლექსებისა და მოთხრობების მხატვრული დონე, მაგრამ არ შეიძლება სევდანარევი სითბოთი არ მოვიგონოთ ადამიანი, რომელმაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მთელი სიცოცხლე უცხოეთის ცის ქვეშ გაატარა. — ლილი პაპე-გეგელაშვილი ოთხი წლისა იყო, როდესაც მშობლებმა უცხოეთში წაიყვანეს და სამშობლოს მხოლოდ მახლობლების თხრობით, წიგნებით და ოცნებით იცნობდა, მაგრამ იმდენად შეიყვარა, რომ თავისი ერთაულრიხიც საქართველოს სიყვარულით „დააავადა“ და მასთან ერთად მთელი სიცოცხლე ქართული კულტურის, საქართველოს განდიდებისათვის ზრუნვას შეალია.

# ჯნჯ

ცუდია, - ადამიანი მატერიალურ ფასეულობათა მონა რომ ხდება, სიყვარულს, ოჯახს, პირად ანგარიშზე აგებს და თავის ამორჩეულ მსხვერპლს ერთგულების ნიღბით გზა-კვალს უბნევს.

ამ წერილში ასეთ ადამიანებზე გვექნება საუბარი.

1941 წლის სექტემბერი. თბილისის რკინიგზის სადგური ხალხით არის სავსე. ტირილი, სიცილი, ხვევნა-კოცნა ერთმანეთშია არეული. ქალ-ვაჟთა ერთი წყვილი უსიტყვოდ შესცქცინებს ერთმანეთს თვალებში.

უეცრად ბაქანზე ხალხი აჩოჩქოლდა. ეშელონი დაიძრა. ქალიშვილმა თითქოს ახლა იგრძნო განშორების ნამდვილი საშიშროება.

— ლევან, რა მეშველება უშენოდ!

— დამშვიდდი, ვარდიკო, სამშობლო განსაცდელშია.

— გამარჯვებული დამიბრუნდი.

ვაჟი ახლადდაძრულ ეშელონს გაჰყვა.

რკინიგზის სადგური დაცარიელდა, ვარდიკო კი მხრებდაშვებული გასცქეროდა ცის დასალიერს, საითკენაც ეშელონი მიდიოდა.

ომის ქარიშხალმა გადაიარა. გამარჯვებული საბჭოთა ხალხი ჭრილობებს იშუშებდა, ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგებოდა.

ვარდიკო დიდხანს ელოდა თავის გულისსწორს. 1943 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს შეიტყო — ლევანი ფაშისტებთან ბრძოლაში გმირულად დაეცაო. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტმა დრომ განვლო. იგი სულით არ დაეცა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და იქვე დატოვეს სამუშაოდ, მაღალი სიხშირის ძაბვის ლაბორატორია მიანდვეს.

ბევრი ჭოჭმანის, ნათესავების, მეგობრების ჩაგონებით ვარდიკო ორი შვილის მამას, ორ ნაცოლარ ელიზბარ ნაცვლიშვილს გაჰყვა ცოლად.

ელიზბარ ნაცვლიშვილი 50 წელს გადაცილებული კაცია, ელეგანტური შესახედაობისა, მჭევრმეტყველი, მუდამ მოდაზე ჩაცმული, პირველი შეხვედრისთანავე არ შეიძლება მისი საუბრით არ მოიხიბლოთ.

როდესაც ოჯახზე ჩამოვარდება საუბარი, ელიზბარი წამებული კაცის იერს იღებს.

— არ გამიმართლდა იმედი ცხოვრებაში. ორი ცოლიდან არც ერთი არ გამომადგა. ამიტომ არის, რომ სამსახურიც ვერ შევძელი. ორი ბავშვი ცოლებმა დამიტოვეს და ჩემთან იზრდებიან — დაიჩივლებს მოსაუბრესთან ელიზბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეჰლი

## ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებს

კარგახანს უთვალთვალებდა ელიზბარი ვარდიკო დეკანოსიძეს — „მეცნიერი მუშაკია, ხელფასი გვარიანი ექნება, კოოპერატიული ბინის მშენებლობაშიც ყოფილა ჩაწერილი, ბავშვებსაც მიმიხედავსო. უფროს ბიჭს მის ერთოთახიან ბინაში ჩავწერ, უმცროსს კი — ახლად აშენებულ ბინაში, მერე მე ვიცი“... გეგმები დააწყო ელიზბარმა, ხალხიც მიუგზავნა ვარდიკოს და მალე ცოლობაზე დაითანხმა კიდეც...

სხვისი შვილები — ნოდარი და რამაზი ვარდიკოს დედას ეძახდნენ. ეს ძახილი გულს მალამოსავით ეფონებოდა დედობამონატრებულ ქალს. დედინაცვალი თავის გერებს ფარვანასავით ევლებოდა თავს. განუზომელ სითბოსა და სიყვარულს იჩენდა ახლადშექმნილი ოჯახისადმი.

დრომ სწრაფად გაირბინა. ამასობაში ნოდარი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ვარდიკომ ცრემლმორეული ღიმილით გააცილა თავისი გაზრდილი ვაჟი, დროდადრო ამანათებს უგზავნიდა ჯარში. თავისი დანაზოგით შემნახველ სალაროში ანგარიშიც კი გახსნა მის სახელზე — ჯარიდან დაბრუნდება და ცოლს შეირთავსო, — აუსრულდა კიდეც ოცნება ვარდიკოს, ნოდარი ჯარიდან დაბრუნებისთანავე დააქორწინა და ახალგაზრდებს ოჯახი დაულოცა.

ამასობაში ელიზბარის წინასწარ შედგენილი გეგმა თანდათან ხორციელდებოდა. მან მოახერხა და ნოდარი ძველ ბინაში დატოვა, თვითონ და რამაზი ახლადდამთავრებულ კოოპერატიულ ბინაში ჩაეწერნენ. ფაქტიურად კი ნოდარი მამასთან და დედინაცვალთან ცხოვრობდა.

როგორც კი ელიზბარმა ჯარიდან დაბრუნებული შვილი ახლადშერთული ცოლით ვარდიკოს ბინაში ჩაასახლა, თავად ვარდიკოს მიმართ მთლიანად შეიცვალა, ალრეწილ გუნებაზე ხვდებოდა, უბრალო რამეზე აყალმაყალს ტეხდა.

— არა, მე შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია. შენი გადამეტებული მზრუნველობა და ყურადღება ყელში ამომივიდა, მომშორდი თავიდან... — მუშტებმომარჯვებული მივარდებოდა თვალცრემლიან ქალს. ელიზბარი სახლიდან გაიქცა. მერე სასამართლოს წესით განქორწინდა და თითქოსდა ვარდიკოს ჯიბრზე მისი მეგობარი და თანამშრომელი თინა მეტონიძე მოიყვანა ცოლად.

ელიზბარი ამას როდი დასჯერდა. სასამართლო პროცესი შედგა ბინის თაობაზე, მან ოსტატურად მოინდომა ვარდიკოს სახსრებით აშენებული კოოპერატიული ოროთახიანი ბინა ხელში ჩაეგდო და ცოლყოფილი ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინა.

სახალხო სასამართლომ ელიზბარს სადაო ბინიდან ერთი ოთახი გამოუყო, რაისაბჭოს აღმასკომმა ორდერიც გამოუწერა სხვა ბინაში შესახლებაზე, მაგრამ ელიზბარმა როდი მოისვენა. მან სასამართლოში ხელახლა აღძრა სარჩელი, რათა სასამართლო წესით ვარდიკო აეძულებინათ გადაეცვალა ბინა.

ელიზბარი სასამართლოზე ნიანგის ცრემლებს ღვრიდა, ბედისაგან დაჩაგრულად აჩვენებდა ყველას თავს. — არ გამიმართლდა იმედი ცხოვრებაში... დავზარალდი. ბინის მიღების აღრიცხვაზე ვიყავი და ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ბინა აიშენა, მე კი აღრიცხვიდან მომხსნესო, ეს ერთი ოთახი შემრჩა ხელთაო.

ნათქვამია, სიმართლე შვილიშვილამდეო, სიმტყუნე კი კარებამდეო... სასამართლოზე გაირკვა, რომ ელიზბარ ნაცვლიშვილი საერთოდ ბინის მიღების აღრიცხვაზე არ ყოფილა აყვანილი.

...სახალხო სასამართლომ ელიზბარ ნაცვლიშვილს სარჩელზე უარი თქვა. მაგრამ იგი ასე ადვილად როდი ჰყრის ფარხმალს. თბილისელი დონჟუანი სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში დარბის. გადაწყვეტილებებს ასაჩივრებს, პარალელურად რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებსაც უჩივის, ბინის აღრიცხვაზე ვიყავი და უკანონოდ გამიუქმესო და ვინ იცის, კიდევ რა ცილისმწამებლურ განცხადებებს არ წერს. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ, როდესაც კაცი თავის უსამართლობას არ აღიარებს, იძულებულია იცრუოს...

* * *

მკითხველს კიდევ ერთი პიროვნება გვინდა გავაცნოთ. მასაც, როგორც ე. ნაცვლიშვილს, ხელობად ქალების ანგარიშზე ცხოვრება და თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესება გაუხდია.

გედეონ ცოფაძეს სოფელში გული არ დაუდგა, — რა ჩემი საქმეა სოფელიო, როდემდე უნდა ვზილო ტალახიანი ორღობეები. ჩემი ადგილი დედაქალაქში, თბილისშიაო, თუმცა თბილისში ჩაუწერავად სამუშაოზე მოწყობა გამიჭირდება, მაგრამ ჩემი გარეგნობის პატრონი ადვილად მივაღწევ მიზანსო. და მართლაც გედეონმა ექიმი ქალი ნინო რაზმაძე გაიცნო.

— მართალია ნინო ჩემზე ცოტათი უფროსია, მაგრამ რა ვუყოთ, ექიმი ქალია, თავშესაფარი აქვს, თანაც, როგორც დავაზუსტე, კოოპერატიულ ბინას აშენებს — ფიქრობდა გედეონ ცოფაძე და მაცდურობით ანთებული თვალებით შესცქეროდა ამორჩეულ მსხვერპლს.

შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა. ნინომ და გედეონმა ხელი მოაწერეს და ქალმა მეუღლე ძმის ბინაში ჩაწერა.

— ჩემო გედეონ, დროებით ძმის სახლში ვიცხოვრებთ, ამასობაში ჩვენი ორგანიზაციის კოოპერატიული ბინის მშენებლობაც დამთავრდება და იქ სამოთახიან ბინას მივიღებთ, ცოტას წაიმეცადინებ, ამხანაგებსაც დაგახმარ და კბილის სატექნიკო სასწავლებელშიც მოეწყობი, აგერ კიდევ ავტომანქანის რიგში ვარ ჩაწერილი და მალე მივიღებ კიდეც... გულწრფელად ესიყვარულებოდა ქალი ვაჟს.

გედეონს სწავლა სულაც არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ მუშაობას ამჯობინა, და ხუთი წლის მანძილზე „ემზადებოდა“ კბილის სატექნიკო სასწავლებელში შესასვლელად. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაირიცხა. მერე ნინოს დახმარებითა და მზრუნველობით დაამთავრა კიდეც. გაიხარა ნინომ. დატრიალდა და ქმარი სპეციალობის მიხედვით კბილის ტექნიკოსად მოაწყო.

— როგორც იქნა, მეშველა, გედეონს სპეციალობაც აქვს და სამსახურიც, ახლა მაინც მოხედავს ოჯახს, — ფიქრობდა მზრუნველი ცოლი და მეუღლეს ყოველგვარ პირობებს უქმნიდა ოჯახური მყუდროებისათვის.

ამასობაში კოოპერატიული ბინის მშენებლობაც დამთავრდა და ცოლ-ქმარი ახალ, სამოთახიან ბინაში გადავიდნენ. მალე ნინოს მანქანის რიგმაც მოუწია, „ჟიგული“, გამოიტანა და ქმრის სახელზე გააფორმა.

— ბედი ბრმაა, დამჯერებელს შეხვედებისო, — გუნებაში გაიმეორა ქართული ანდაზა გედეონმა — რაც მინდოდა ხომ მივაღწიე, აწ მე ვიციო, და სამოქმედო გეგმა მოხაზა.

ერთ დღეს ნინო სამსახურიდან შინ დაღლილი დაბრუნდა, ფოსტალიონმა ახალი გაზეთები მოუტანა და თან სასამართლოს უწყების ჩაბარებაზე ხელი მოაწერინა.

ქალი სასამართლო უწყებით ხელში გაოგნებული იდგა. ვეღარ კითხულობდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა. უწყებაში გარკვევით იყო აღნიშნული სასამართლოს სხდომის დღე და დრო, რომ იგი უნდა გამოცხადებულიყო გედეონ ცოფაძის სარჩელისა გამო განქორწინებისა და ბინის გაყოფის თაობაზე....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლ-ქმარი ნინო რაზმაძე და გედეონ ცოფაძე განქორწინდნენ. ნინო თითქოსდა შეურიგდა ბედს. მაგრამ ერთ დღეს ქალს თავისი ნაქმრევი თავდახრილი მოადგა. იგი ნასვამი იყო.

— ნინო, მე შენს წინაშე დამნაშავე ვარ. ვიცი, რომ კაცად მაქციე, მე კი ზურგი შეგიბრუნე. ჩვენი განშორების მიზეზი ის არის, რომ შვილი არა გვყავს, აგერ ჩემი დისწული ვიშვილოთ და ვიცხოვროთ წყნარად.

ქალი გაოგნებული იყო, ძნელი გახდა მისთვის იმ შეურაცხყოფისა და დამცირების დავიწყება, რაც ამ მოკლე დროში გედეონისგან განიცადა. თვალწინ დაუდგა, როგორ ურცხვად ექცეოდა ქმარი სასამართლო პროცესზე, ისიც გაახსენდა, როგორ დააყენა იგი ცხოვრების გზაზე, განცდათა ჭიდილში დამარცხდა და კაცს შეურიგდა...

გედეონმა მიაღწია იმას, რომ თავისი დისწული შვილად გაიფორმა, ბინაშიც ჩაიწერა, იმედოვნებდა, კვლავ გასცილდებოდა ცოლს და ბინის გაყოფისას თავის ნაშვილებ დისწულთან ერთად სასამართლო წესით ორ სულს კუთვნილი ბინის ფართის უმეტესი ნაწილი შეხვდებოდა. ამას გარდა ნინოს დანაზოგი 4600 მანეთიც გამოატანინა შემნახველი სალაროდან და მიითვისა...

მაგრამ გედეონს დისწულის ფიქტიურად შვილობა არ გაუმართლდა. ბავშვი ერთი დღეც არ გამოჩენილა ახალ „მშობლებთან“, რისთვისაც სასამართლოს წესით შვილობა გაუქმდა. გედეონი მიხვდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ მაინც არ მოისვენა და კვლავ აღძრა სარჩელი განქორწინებაზე და ამავე დროს მოითხოვა ბინის ფართობის გამოყოფა მაშინ, როდესაც ბინის მშენებლობისას კაპიკიც არ გადაუხდია.

მაგრამ სასამართლო ისე არ სჯის, როგორც ეს უპატიოსნო ადამიანებს აძლევს ხელს.

ამასობაში გედეონმა სხვა ცოლი მოიყვანა. ისინი ნინოს აიძულებენ დატოვოს თავისი ბინა და წაგლეჯილი ფულიც უკან არ მოითხოვოს.

უიღბლო ქორწინების დროს გაყრა უფრო ზნეობრივად დასაშვებად ჩავთვალოთ, ვიდრე ცოლქმრული კავშირის დაურღვევლობა, რადგანაც გაყრა ბოლოს უღებს სიყალბეს. პირად ანგარიშზე აგებული ქორწინება ხომ სიმდაბლის პირველი ნიშანია. და სწორედ ასეთი დაბალი ზნეობისანი არიან ელიზბარ ნაცვლიშვილი და გედეონ ცოფაძე და თუ, მკითხველო, ჩვენ ნამდვილი გვარები და სახელები არ დავასახელეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი ჭეშმარიტება გვწამს: — ქურდს ქუდი ეწვის. ვინც ამ ვაჟბატონებს იცნობს, ყველა მიხვდება ვისზეა ლაპარაკი.

**ზაალ მესენგისერი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**



# ნინო

**(ჩანახატი)**

ორივე ხელით ჩაფრენოდა „დროგის“ კედელს და ცდილობდა როგორმე წონასწორობა დაეცვა ამ ოღრო-ჩოღრო გზაზე.

გვიანი შემოდგომის მოჟამული დღე იყო. ცრიდა. ნესტიანი სიცივე ძვალ-რბილში ატანდა და აკანკალებდა.

დურსუნ ძია ზოგჯერ მოხედავდა სიცივისაგან მობუზულ გოგონას და გამამხნევებლად უღიმოდა, საცაა მივაწევთო, ანუგეშებდა უსიტყვოდ, ღიმილით.

— კაი გამარჯობათ თქვენი. საით გაგიწევია, დურსუნ?

შუკაში, ჭიშკართან ბარიანი მოხუცი გლეხი იდგა, ყაბალახს ისწორებდა და იღიმებოდა.

— იცოცხლე, იუსუფ, აგერ, დევაძეებთან მივდივართ, ზემოთ.

— აი ბალანა ვისია, ჯო? ველარ ვცნობ რაცხა.

— მაი ბალანა კი არა, ექიმია, იუსუფ.

წყენა დაეტყო ხმაში დურსუნ ძიას. თითქოს პირადად მისთვის მიეყენებინოთ შეურაცხყოფა. უცებ ღიმილი ჩამოირეცხა სახიდან, ომახიანად შეუძახა ყურებჩამოყრილ, ალმართზე ტაატით მიმავალ ცხენს.

— რას მეუბნები, ჯო? აგია აბა ჩვენი ახალი ექიმი? კეთილი, ჩემო ბატონო, კეთილი.

ნინოს კიდევ კარგა ხანს ედგა ყურში მოხუცის გაკვირვებული ხმა. ხედავდა მის უნდო, ეჭვიან ღიმილს.

უკვე მიეჩვია იმას, რომ უცნობები ასე მიმართავდნენ. ამან ვინ უნდა მოარჩინოსო, კითხულობდა ზოგჯერ თვალებში მიმალულ ეჭვს თუ შეშფოთებას.

გაუჭირდა პირველ ხანებში. გაუჭირდა ამ ფსიქოლოგიური ზღუდის დაძლევა.

სიმართლე რომ ითქვას, გაუჭირდა საერთოდ დამოუკიდებელი ცხოვრებაც.

სრულიად მარტოდ და უთვისტომოდ გრძნობდა თავს, უჩვეული და უცხოც კი ეჩვენებოდა თავდაპირველად აქაურობა.

ერჩია, თავის მშობლიურ იმერეთში, თუნდაც მივარდნილ სოფელში სადმე ემუშავა. მაგრამ...

შენი ყოფნა იქ არის საჭირო, იქ, აჭარაში. ადგილობრივი კადრები არა ჰყავთ ჯერჯერობით, იქ შენ შეგიძლია დიდი და კეთილი საქმე აკეთო, არა მარტო როგორც ექიმმა, არამედ როგორც ნასწავლმა, განათლებულმა ქალმაცო. შენ ცოცხალი მაგალითი იქნები ჯერაც მაჰმადიანური ადათის ტყვეობაში მოქცეული აჭარელი ქალებისათვისო.

ასე უთხრეს რექტორატში. თვითონაც სწამდა და სჯეროდა, რომ კეთილი საქმეებისთვის იყო გაჩენილი ამ ქვეყნად. ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვა აერჩია პროფესიადაც და, აბა, როგორ შეეძლო უარი ეთქვა აქეთ წამოსვლაზე.

ეს იყო 1934 წელი.

და აი, მახინჯაურში რომ ჩამოვიდა, პირველი დღიდანვე იგრძნო, მართალი იყვნენ ისინი, ვინც აქ გამოგზავნა ახალგაზრდა ექიმი. მართლაც საჭირო იყო მისი აქ ყოფნა. ადამიანებს სჭირდებოდათ იგი.

დარდისა და ნაღველისათვის დრო აღარც რჩებოდა.

ერთადერთი საექიმო პუნქტი იყო სოფელში და თვითონაც ერთადერთი ექიმი გახლდათ.

ღამე გვიანობამდე ენთო ლამფა მის პაწაწინა ოთახში, იქვე, საექიმო პუნქტთან რომ იყო მიყუჟული. ბევრს კითხულობდა. ბევრს მუშაობდა. აქაც სწავლობდა ყოველდღიურად, იძენდა გამოცდილებას. ათასი თავსატეხი, სანერვიულო ხვდებოდა ყოველ წუთს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე. შორს იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, კოლეგები, ამხანაგ-მეგობრები. ვერავის სთხოვდა რჩევას.

ისევ წიგნები და ცოცხალი, ყოველდღიური პრაქტიკა.

ხომ ამბობენ, ექიმი ხშირად ტკბილი სიტყვით არჩენსო ავადმყოფს.

ჰოდა, გამოტეხილად რომ ითქვას, პირველ ხანებში ეს ტკბილი სიტყვა უფრო შველოდა ნინოს და... გულღია ნათელი ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაკაბაძე

მილი; მაინც საიდან მოსდევდა ამ ცქნაფა, ბავშვური იერის მქონე ქალიშვილს ესოდენ საჭირო, თბილი სიტყვები?

ეს მერე მოვიდა გამოცდილებაც, ცოდნაც, პროფესიული ოსტატობაც, მაგრამ გულისხმიერება, სიკეთე და პასუხისმგებლობის გრძნობა იმთავითვე უბოძა ბუნებამ, როგორც ჯილდო, დიდი განძი, და ნინო კაკაბაძეც უხვად აზარჯავდა ადამიანებს ამ მადლს.

სწრაფად ამყარებდა კონტაქტს ავადმყოფთან, და აქაც ღიმილი შველოდა. დადარაჯებული, უნდო მზერა დამხვდურთ ანაზდად ეცვლებოდათ, ამ ღიმილზე თავადაც გულკეთილ, ღია და მადლიერ ღიმილს შეაგებებდნენ ხოლმე.

ასე, ხან „დროგში" მჯდარი, ხან ცხენით, ხან ფეხით დადიოდა ავადმყოფებთან და ყოველი „გამოძახება" ღელვას გვრიდა. როგორ ავადმყოფთან ექნება საქმე? რა ავადმყოფობასთან? მთავარია, სწორი დიაგნოზი დასვას. მერე? არც მერე შეუძლია მშვიდად ყოფნა...

ეჰ, გარბის დრო, სწრაფად გარბის. თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი — „დროგში" მჯდომი, გულის კრთომით რომ ეშურებოდა ავადმყოფის ნახვას.

თითქოს გუშინ იყო, ზოგჯერ გულამოსკვნილი, ჩუმად რომ ტიროდა თავისი უმწეობის გამო, მარტოობის გამოც, დედის და მამის ალერსს დანატრებული, და-ძმების ნახვას დანატრებული.

თითქოს გუშინ იყო...

თაფლისფერთვალება, სანდომიანი ახალგაზრდა რომ მოადგა საექიმო პუნქტს, და ყოველნაირი დახმარება აღუთქვა ახალბედა ექიმს. იგი მეურნეობის ახალი დირექტორი გამოდგა — შალვა ტუღუში.

სიყვარული, შრომის ხალისი, ადამიანების სიყვარული ასაზრდოებდა შალვა ტუღუშისა და ნინო კაკაბაძის ახალგაზრდა ოჯახს....

ეჰ, გარბის დრო, სწრაფად გარბის. თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი. გუშინ იყო ახალგაზრდული, მჩქეფარე ენერგიით აღსავსე რომ ეჭიდებოდნენ ცოლ-ქმარი სიძნელეებს; ერთ უღელში შებმულნი, ხალისიანად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს — ხან სიხარულითა და ხანაც სიმძიმილით სავსეს.

ახლა ცალუღლად დარჩენილი, ნაღველშეპარული ღიმილით იგონებს გავლილ წლებს.

არა. უქმად არ ჩაუვლია იმ წლებს. სიმძიმილის წილ ყოფილა სიხარული და სავსება სულისა, ტკივილის წილ — გამარჯვება და კმაყოფილების შეგრძნება იმის გამო, რომ ვიღაცას მოუტანე ნუგეში, გაუთბე გული და აუბრიალე მინავლებული იმედის კოცონი.

არა, არ ჩაუვლია უნაყოფოდ, უქმად იმ წლებს. თუმცა, რა დასამალია, სიბერე დაუკითხავად გიკაკუნებს კარს, შენ მაინც არ ეპუები ამ დაუპატიჟებელ სტუმარს და ცდილობ კვლავაც მხნედ და ხალისიანად შეეგებო ყოველ ახალ გათენებას, იცოცხლო და გაიხარო სხვისი ბედნიერებით და სიხარულით.

...დამსახურებული ექიმის ნინო კაკაბაძის მისაღებთან, დერეფანში ყოველთვის ბევრი ხალხი იყრის თავს.

ავადმყოფს სჯერა მისი, სჯერა მისი სიტყვის, მისი წამლის. ხშირად პირადული, ოჯახური ამბების გამოც მოდიან მასთან, უნდათ სწორედ ნინოსაგან მოისმინონ რჩევა-დარიგება.

თანასოფლელებმაც აკი მრავალჯერ აირჩიეს ნინო კაკაბაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მთავრობის მრავალი ჯილდოც აქვს მიღებული, მაგრამ მისთვის უმთავრესია ის სიყვარული, რომლითაც გარემოსილია მისი სახელი.

ხარობს ამ სიყვარულით ნინო კაკაბაძე, ხარობს შვილების და შვილიშვილების სიხარულით, თავისი სოფლის დიდი სიკეთით და ბედნიერებით.

ციალა არდაშელია

# როგორ გავაკაჟოთ ორგანიზმი

ადამიანის დღეგრძელობა დიდად არის დამოკიდებული ორგანიზმის გაკაჟებაზე. სხეულის გაკაჟება ანუ გამოწრთობა გარემო ფაქტორების — სიცივის, სითბოს, დაბალი ატმოსფერული წნევისა და სხვათა მიმართ ორგანიზმის თანდათან შეგუებას (ადაპტაციას) და ამ ფაქტორთა მავნე ზემოქმედების შემთხვევაში სათანადო წინააღმდეგობების გაწევას გულისხმობს.

გაკაჟება ხელს უწყობს ორგანიზმის დამცველი ძალების გაუმჯობესებასა და სრულყოფას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ადამიანის დღეგრძელობას.

ავიღოთ მაგალითად „გაციება", რომელიც ფაქტიურად დაავადება არც არის, მაგრამ მისი განვითარების შემთხვევაში ორგანიზმში შეიძლება იოლად შეიჭრას ინფექცია, განვითარდეს კატარული მოვლენები და სხვა. დღეს ინფექციური დაავადებებიდან ყველაზე საშიშია გრიპი, რომელიც უფრო ხშირად გაუკაჟებელ ადამიანს ემართება. ამიტომაც გამოწრთობა-გაკაჟება უნდა მივიჩნიოთ იმ ძლიერ ბუნებრივ საშუალებად, რომელსაც რთული ნერვული მექანიზმების ზემოქმედებით ძალუძს ადამიანის ორგანიზმს გამოუმუშაოს დაბალი და მაღალი ტემპერატურის მიმართ კარგი შეგუების უნარი. შეგუება კი სიცოცხლეს ნიშნავს.

ორგანიზმის გაკაჟება უნდა მოხდეს თანდათანობით, სისტემატურობის პრინციპით და ყველა შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა ხორციელდებოდეს. უმჯობესია გაკაჟება ბავშვობის ასაკიდან დავიწყოთ, რადგან სწორედ ამ პეროდში ხდება სითბოს რეგულაცია და დამცველი ძალების ჩამოყალიბება.

გაკაჟების პროცედურის ხანგრძლივობა დასაწყისში ნაკლები უნდა იყოს, შემდეგ თანდათანობით გაიზარდოს. მაღალი ტემპერატურიდან დაბალზე მკვეთრი გადასვლა ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს, გაკაჟების საშუალებებია ჰაერი, მზე და წყალი.

**ჰაერით გაკაჟება** გულისხმობს ჰაერის აბაზანების მიღებას. ჰაერის აბაზანებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიკურად სუსტი ადამიანებისათვის. ამ პროცედურის ჩატარების დროს ადამიანი დაცული უნდა იყოს გამჭოლი (ორპირი) ქარისაგან. დადგენილია, რომ კანის ზედაპირზე ჰაერის შეხება იწვევს ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას, ნერვული სისტემის გამაგრებას და სითბოს რეგულაციის აპარატის გავარჯიშებას.

ჰაერის აბაზანა ორგანიზმზე ყველაზე კარგად დილისა და საღამოს საათებში მოქმედებს. არსებობს ჰაერის აბაზანის მიღების რამდენიმე სახე: თბილი (25 გრადუსი და ზემოთ); მოთბო (23—24 გრადუსი). მსუბუქად გრილი (18—20 გრადუსი); გრილი (16—17 გრადუსი) და ცივი (16 გრადუსზე ქვემოთ). ჰაერით გაკაჟება ჩვეულებრივ იწყება მაშინ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 18—20 გრადუსია. ჰაერით გაკაჟება 10—12 გრადუსის პირობებშიც შეიძლება. ამ დროს ჰაერის მოძრაობის სისწრაფე 0, 1 მ/სეკ., ხოლო ტენიანობა კი 40—65 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ჰაერით გამოწრთობა შეხამებული უნდა იყოს მოძრაობასთან. ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სუფთა ჰაერზე სეირნობა, რომელიც ჩვეულებრივ მოზრდილთა შორის 15 წუთიდან 2 საათამდე შეიძლება გაგრძელდეს. ჩვილი ბავშვები შეიძლება ჰაერზე დღის განმავლობაში 4 საათს იმყოფებოდნენ. ნახევრად შიშველი ტანის ჰაერით გაკაჟება ოთახის პირობებში იწყება, შემდეგში კი ეს პროცედურა ღია ცის ქვეშ შეიძლება ჩატარდეს.



**მზით გაკაჟების** დროს ადამიანის ორგანიზმი თანდათან ეჩვევა მზის სხივებს. სხივების ზემოქმედება ხელს უწყობს ორგანიზმში წვის პროცესების გააქტივებას და ბაქტერიების ცხოველმოქმედების დასუსტებას, სისხლის წითელი ბურთულებისა (ერითროციტების) და ჰემოგლობინის მომატებას, სუნთქვის გაღრმავებას, გულის მოქმედებისა და კუნთების ტონუსის გაძლიერებას. მზის სხივები საგრძნობლად აძლიერებს ვიტამინებისა და მინერალური მარილების ცვლას და სხვ.

მიზანშეწონილია მზის სხივებით გაკაჟებას წინ უძღოდეს ე. წ. ჰაერ-სინათლის აბაზანების მიღება. ამ დროს ადამიანის სხეულს მზის სხივები პირდაპირ არ ეცემა, რაც ანარეკლი სხივების მოქმედებით არის ცნობილი. ჰაერ-სინათლის აბაზანების მიღების დროს ადამიანი ჯდება ხის ან ტენტის ქვეშ. ამ პროცედურის ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზღვაზე გაუკაჟებელი ადამიანისათვის. ისინი დაახლოებით ერთი კვირის ჰაერ-სინათლის აბაზანების მიღების შემდეგ უნდა იწყებდნენ მზის აბაზანებზე გადასვლას.



მზის აბაზანებისათვის საუკეთესო დროა დილის 8—12 და საღამოს 17—19 საათი. ამ დროს მზე უხვად აფრქვევს ულტრაიისფერ სხივებს, ხოლო წითელი და ინფრაწითელი სხივები მის სპექტრში ამ საათებში შედარებით ნაკლებია. ცნობილია, რომ ულტრაიისფერი სხივები ორგანიზმში დადებით რეაქციას იწვევს (იგი ხელს უწყობს ბავშვის ორგანიზმის განვითარებისათვის აუცილებელ ვიტამინ — D-ს წარმოშობას), წითელი და ინფრაწითელი სხივები კი ძირითადად უარყოფითად მოქმედებს.

მზის აბაზანის მიღება მაშინ უნდა დავიწყოთ, როცა ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსია, ორგანიზმის გაკაჟების დროს კი მისი დაწყება 20 გრადუსზეც შეიძლება. პირველ დღეს აბაზანის ხანგრძლივობა 5—6 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ თანდათანობით შეიძლება 5-5 წუთი მოემატოს და 40—60 წუთამდე ავიდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ხანგრძლივად მზეზე გაჩერება დასიცხვას იწვევს — იწყება საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში და სხვ.

**წყლით გაკაჟებას** ის უპირატესობა აქვს, რომ ადამიანს ადვილად შეუძლია როგორც წყლის ტემპერატურის, ისე მისი ხანგრძლიობის დოზირება. გარდა ამისა, წყალს მეტად დადებითი ფიზიკური თვისება აქვს — მაღალი თბოგამტარობა და კანზე მექანიკური მოქმედების უნარი. წყლის თბოგამტარობა 28-ჯერ მაღალია ჰაერთან შედარებით და ამიტომ იგი უფრო დიდ გავლენას ახდენს ადამიანის გუნებაგანწყობილებაზე. წყლის პროცედურა მეტად ღრმად მოქმედებს ადამიანის სხეულზე. იგი იწვევს სისხლის ძარღვების გავარჯიშებას, აწესრიგებს თბორეგულაციას, რის შედეგადაც თვალსაჩინოდ იზრდება ორგანიზმის მდგრადობის უნარი ბევრი დაავადების მიმართ. წყლით გაკაჟება კარგია დავიწყოთ სხეულის დაზელვით. ამ შემთხვევაში დასაწყისში წყლის ტემპერატურა 26—28 გრადუსი უნდა იყოს, ხოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში იგი 15—20 გრადუსზე უნდა დავიყვანოთ. შემდეგ წყალი მთლიანად ტანზე ერთნაირად უნდა გადავივლოთ, ამ პროცედურის ხანგრძლიობა 4 წუთამდე უნდა განისაზღვროს.

ტანის დაზელვა და წყლის გადავლება ბანაობისათვის მოსამზადებელ საფეხურად ითვლება. მიზანშეწონილია, რომ ეს პროცედურები ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ჩატარდეს.

შხაპი ბევრად უფრო ძლიერ ფიზიოლოგიურ მოქმედებას ახდენს. დასაწყისში შხაპის მიღება ისე შეიძლება, რომ ტემპერატურა 33—38 გრადუსი იყოს.

გაკაჟების მიზნით დაბანა ძირითადად ტერფიდან უნდა იწყებოდეს, ვინაიდან ადამიანი, რომელიც მიჩვეული არ არის ფეხშიშველა სიარულს, ადვილად შეიძლება გაცივდეს. ამიტომ ტერფების ყოველდღიურად დასველებას და ამით ორგანიზმის გაკაჟებას გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა ენიჭება. ტერფების დასველების დროს თავდაპირველად წყლის სითბო 25—28 გრადუსი უნდა იყოს და ყოველ 3-4 დღეში თითო გრადუსით დავუკლოთ, ისე რომ 14—15 გრადუსამდე დავიყვანოთ. ტერფების წყალში ჩადება საჭიროა ყოველ საღამოს 2—5 წუთს. ქრონიკული კატარის დროს მიზანშეწონილია დილით ყელში წყლის გამოვლება. წყლის სითბო დასაწყისში 22—23 გრადუსი უნდა იყოს, ბოლოს კი ონკანის ტემპერატურამდე დავიყვანოთ. გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს ყოველ დილით ცხვირის ნესტოებში ონკანის წყლის გამოვლებას.

წყლის პროცედურების ჩატარება სასიამოვნოა, როცა ჰაერის ტემპერატურა 17—20 გრადუსია. ასეთ ტემპერატურაზე ორგანიზმის გაკაჟება შეიძლება ღია ცის ქვეშაც, თუ ქარი არ არის. წრთობის დაწყება უმჯობესია გაზაფხულზე ან ზაფხულში.

სხეულის დაზელა იწყება ინდიფერენტული ტემპერატურის წყლით (32—33 გრადუსი). ყოველ 3—4 დღეში ტემპერატურა უნდა იკლებდეს, ისე რომ 1,5—2 თვის შემდეგ 18—20 გრადუსამდე დავიყვანოთ.

ბანაობა მაშინ უნდა იწყებოდეს, როცა წყლის ტემპერატურა 22—24 გრადუსია. წყალში მოძრაობა საჭიროა ენერგიულად. ბანაობის ხანგრძლიობა პირველ დღეებში 4—5 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი 30—60 წუთამდე შეიძლება გაიზარდოს. ზღვაში ბანაობას წინ უნდა უსწრებდეს მზის აბაზანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ჰაერით, მზითა და წყლით გაკაჟებას, რაც ჩვილი ბავშვობის ასაკიდან უნდა დავიწყოთ და მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შევწყვიტოთ.

**რ. სვანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## შემწვარი ელენთა

კარგად გასუფთავებულ და გარეცხილ საქონლის ელენთას დავაყაროთ მარილი და მთლიანად დავდოთ ძალიან ცხელ ტაფაზე, დავახუროთ სახურავი.

ოთხი მოზრდილი ძირი ქინძი დავნაყოთ ნახევარ წითელ წიწაკასთან და ორ კბილ ნიორთან ერთად; დავასხათ თასზე სამი სუფრის კოვზი ძმარი და დავყაროთ ამავე თასზე დანაყილი ქინძი. კარგად ავურიოთ, დავამატოთ ნახევარი ღვინის ჭიქა წყალი.

ტაფიდან ავიღოთ გამზადებული ელენთა, დავდოთ ფიცარზე და დავჭრათ სასწრაფოდ წვრილ ან საშუალო ზომის ნაჭრებად. ჩავაწყოთ ემალის ქვაბში და დავასხათ გამზადებული სართავი.

## მოხარშული კარტოფილი ნიგვზით

1 კგ კარტოფილი მოვხარშოთ გაუთლელად. ორი მომცრო თავი ხახვი და ერთიორი ძირი ოხრახუში წვრილად დავჭრათ, დავყაროთ თასზე, დავნაყოთ ნახევარი ჩაის ჭიშა ნიგოზი, ორი კბილი ნიორი, ორი ძირი ახალი ქინძი. ყველაფერი ეს გავხსნათ ორ სუფრის კოვზ ძმარში და ერთ ღვინის ჭიქა წყალში (შემდეგ შეიძლება წყალი დავამატოთ).

ცხელი კარტოფილი გავფცქვნათ და დავკეპოთ, ავურიოთ ნიგოზში, დავუმატოთ ბროწეულის მარცვლები.

## კეჟერა ფხალი ნიგვზით

2 კგ კეჟერა ფხალის მწნილი დავჭრათ წვრილ ნაჭრებად (თანატოლ ნაწილებად). დავნაყოთ 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, სამი კბილი ნიორი, ნახევარი წითელი წიწაკა, ორი ძირი ქინძი.

დანაყილ ნიგოზს და ქინძს დავუმატოთ ერთი სუფრის კოვზი ძმარი და ცოტა წყალი და ყოველივე ავურიოთ დაჭრილ ფხალში.

მივიტანოთ მჭადთან ერთად.

## კომბოსტო ხორცით

1 კგ ღორის ხორცი (სასურველია მკერდის ნაწილი) წვრილად დავჭრათ, ჩავყაროთ ქვაბში და ვხრაკოთ გავარდისფერებამდე, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ისიც ჩავხრაკოთ ხორცთან ერთად. შემდეგ დავუმატოთ წვრილად დაჭრილი კომბოსტო, ქვაბს თავზე დავახუროთ და ნელ ცეცხლზე ვხრაკოთ, ყოველ 10 წუთში კოვზით უნდა მოვურიოთ. მერე დავუმატოთ 1 სუფრის კოვზი ძმარი, შავი წიწაკა და მარილი.

ნინო კიკვიძე

*ჩვენ გვწერენ*

# აკაკის ახლობელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი



საქართველოს ბულბულის, ერის დიდი მოჭირნახულის აკაკი წერეთლის ახლობლებიდან, მის მშობლიურ საჩხერის რაიონსა და სოფელ სხვიტორში მხოლოდ საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ყველასათვის დიდად პატივცემული სოფიო ნიკოლოზის ასული დგებუაძე-წერეთლისა შემორჩა წუთისოფელს. სოფიოს, 1978 წელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. იგი აკაკისთან დაკავშირებული ბევრი მოვლენის საკუთარი თვალით მხილველი, გარდასული დღეების ცოცხალი მემატიანეა.

თმადათოვლილი მხცოვანი, სანდომიანი სახის ქალი სოფიო დგებუაძე ჯერ კიდევ ჭარმაგად გამოიყურება. იგი არის ჩვენი სასიქადულო მგოსნის რძალი — აკაკის ძმის დავით წერეთლის შვილის ვასილ წერეთლის მეუღლე. ვასილმა უმაღლესი განათლება ბელგიაში მიიღო და 37 წლის მანძილზე ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში იმოღვაწა, როგორც ნიჭიერმა და თვალსაჩინო სამთო სპეციალისტმა. იგი 1962 წელს გარდაიცვალა 78 წლის ასაკში. ვასილი ძალიან ჰყვარებია აკაკის და დიდ პატივს სცემდა მას. რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს პოეტს თან წაუყვანია ძმისწული და ვასილმაც ბევრი საინტერესო მოგონება დატოვა ამ მოგზაურობაზე და საერთოდ აკაკისთან ახლო ურთიერთობაზე.

1921 წლიდან ქალბატონი სოფიო განუწყვეტლივ მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ჯერ ქ. ფოთის შვიდწლიან, ხოლო შემდეგ იმავე ქალაქის საცდელ-საჩვენებელ სკოლაში.

1929 წელს მან თავისი ცხოვრების ბედი დაუკავშირა ვასილ დავითის ძე წერეთელს, 33 წლის მანძილზე მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების უღელს.

1936 წელს სოფიო ნიკოლოზის ასული საჩხერის რაიონის სხვიტორის ახლანდელ საშუალო სკოლაში იწყებს მუშაობას და ახალ წარმატებებს აღწევს სწავლა-აღზრდის საქმეში.

1939 წელს სოფიო როგორც რუსული ენის კარგი მცოდნე და მოწინავე მასწავლებელი საჩხერის პედაგოგიურ სასწავლებელში მუშაობს. სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მოღვაწეობით შეძენილ მდიდარ გამოცდილებას ხალისით უზიარებს თავის მომავალ კოლეგებს. საჩხერისა და ჭიათურის რაიონების სკოლებში ახლა ბევრი მისი აღზრდილი მასწავლებლობს.

პედსასწავლებლის საჩხერიდან გადატანის შემდეგ, 1942 წლიდან სოფიო დგებუაძე ენერგიულად განაგრძობს მუშაობას საჩხერის მეორე საშუალო სკოლაში და სანიმუშოდ აყენებს რუსული ენის სწავლების საქმეს. მის კლასებში აკადემიური მოსწრება 98 პროცენტზე დაბალი არ ყოფილა, ხოლო ზოგიერთ კლასში მოსწრებამ 100 პროცენტს მიაღწია. იგი ხელმძღვანელობს რუსული ენის სწავლების მეთოდურ გაერთიანებას რაიონში.

სოფიო კანონიერი სიამაყით იგონებს თავის აღზრდილებს — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ ზურაბ ტინტილოზოვს, ცნობილ ექიმს პროფესორ ალექსანდრე ანასაშვილს, მეცნიერების კანდიდატებს ძმებს დავით და შოთა ნოზაძეებს და სხვებს, რომელთაც ასახელეს სკოლა და სოფიო მასწავლებელი.

ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ს. დგებუაძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა და ეწევა. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული საჩხერის რაიონული საბჭოს დეპუტატად და აღმასკომის წევრად. 1951 და 1956 წლებში ზედიზედ აირჩიეს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მესამე და მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ს. დგებუაძე, როგორც ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელი დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“. 1958 წელს მას მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

სოფიო დგებუაძეს დიდი დამსახურება აქვს აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის, საინტერესო ექსპონატებით შევსებისა და აკაკის უკვდავი შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. სოფიო არის აკაკის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში, სისტემატურად გამოდის რაიონის მშრომელთა წინაშე ლექციებით, მოგონებებით აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ამას წინათ საინტერესო მოგონებებით გამოვიდა აკაკის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქ. საჩხერეში, რომელსაც ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლები.

ბევრ საყურადღებო ექსპონატს, რომელიც უშუალოდ აკაკის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული თვალისჩინივით ინახავს და უვლის სოფიო. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მგოსნისეული ბროლის ჭიქები-სასმისები, ბანქო და მრავალი სხვ. განსაკუთრებით ღირშესანიშნავია სოფიოს მამამთილის დავითის მდიდარი არქივი, საიდანაც ბევრი მნიშვნელოვანი მასალა-წერილები, ჩანაწერები სოფიომ მუზეუმს გადასცა და მომავალში მთლიანად გადასცემს მას.

სოფიო ამჟამად პენსიონერია, მაგრამ გული სახლში მაინც არ უდგება. კვლავ დიდი ენერგიით, ახალგაზრდული მონდომებით ასწავლის ოქტომბრის რევოლუციის ენას, დიდი ლენინის ენას სხვიტორის საშუალო სკოლაში.

**ს. ლაშხი,**

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

### საინტერესო თემაზე

# ქალთა სახელები მთვარეზე

თუ დავუკვირდებით მთვარის ხილული მხარის რუკას, დავინახავთ, რომ მასზე საკმაო რაოდენობით არის დედამიწის მთათა და ქედთა სახელები — ალპები, აპენინები, კარპატები, კავკასია, ალტაი. ბევრ კრატერს ცნობილი პოეტების, მოგზაურების, მეცნიერების სახელები ჰქვია, მაგალითად: არქიმედისა, არისტარქესი, პლატონისა, კოპერნიკისა, ვინშტეინისა, ფერმისა, კურჩატოვისა და სხვ.

მთვარის რუკაზე ქალთა სახელებსაც შევხვდებით. მაგალითად, 13 კმ დიამეტრის მქონე კრატერს, „წვიმების ზღვის“ ჩრდილოეთ ნაწილში, კაროლინა გერშელის (1750-1848) სახელი ჰქვია. იგი გამოჩენილი ინგლისელი ასტრონომისა და დიდი სარკისებრი ტელესკოპების კონსტრუქტორის ვილიამ გერშელის (1738-1822) და იყო.

კაროლინა გერშელი გერმანიაში დაიბადა. მან მის მიერ დამზადებული ტელესკოპით აღმოაჩინა პლანეტა ურანი (1781 წ), დაასაბუთა მზის სისტემის მოძრაობა სამყაროში და განსაზღვრა ამ მოძრაობის მიმართულება ჰერკულესის თანავარსკვლავედისაკენ. მალე კაროლინა ძმასთან ერთად ინგლისში გადასახლდა. ის იმ დროს დიდ სასულე ორკესტრს ხელმძღვანელობდა. პარალელურად და-ძმა ასტრონომიულ დაკვირვებებს ახდენდნენ. თურმე კაროლინამ დამოუკიდებლად აღმოაჩინა რვა კომეტა, დასაბეჭდად მოამზადა კატალოგი, რომელშიც შეტანილი იყო 561 ვარსკვლავი. 1828 წელს ინგლისის სამეფო ასტრონომიულმა საზოგადოებამ კაროლინა გერშელი ოქროს მედლით დააჯილდოვა. ძმის გარდაცვალების შემდეგ კაროლინა გერმანიაში დაბრუნდა, სადაც 98 წლისა გარდაიცვალა.

მთვარეზე 41 კმ დიამეტრის მქონე კრატერს „სიმშვიდისა და ნექტარის ზღვებს“ შორის გამოჩენილი ძველბერძენი მეცნიერი ქალის იპატიას (გიპატია) სახელი ჰქვია. მან სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა 415 წლის გაზაფხულზე.

იპატია დაიბადა 370 წელს ქალაქ ალექსანდრიაში (ეგვიპტე). ცნობილი მათემატიკოსის თეონის ოჯახში. შემდეგ მან ბრწყინვალე განათლება მიიღო და მალე ალექსანდრიის მუზეუმში კათედრა შესთავაზეს, თუმცა მაშინ ეს ადგილი მხოლოდ კაცისთვის იყო განკუთვნილი. იპატია კი უკვე გამოჩენილი მეცნიერი იყო, მას ლამაზ „ფილოსოფოსს“ უწოდებდნენ და კათედრაც არგუნეს.

იპატიას პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ ის ალექსანდრიის ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიძულა. ღვთის მსახურებმა ხმები გაავრცელეს, იპატია ჯადოქარია და მთელს თავის ცოდნას ქრისტიანობის წინააღმდეგ იყენებსო. იმ პერიოდში ასეთი ბრალდება სავსებით საკმარისი იყო, რომ მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ.

მართლაც რელიგიურად განწყობილი ფანატიკოსთა ბრბო იპატიას გზაში დაუხვდა, გადმოიყვანეს ეკიპაჟიდან, გახადეს ტანსაცმელი, ცოცხალს გააძრეს ტყავი და დასწვეს. ეს მოხდა 415 წელს ალექსანდრიაში, ხალხმრავალ მოედანზე.

როგორც ვხედავთ, მთვარის რუკაზე ორ დიდ კრატერს გამოჩენილი მეცნიერი ქალების სახელები ჰქვია.

**გრ. ზარიძე**

---

გარეკანის პირველ გვერდზე — მზია გაბუნიას პორტრეტი; მეოთხეზე — „გაზაფხული“ — საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ნათელა იანქოშვილის ნამუშევრები.

| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6/III-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IV-79 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000, შეკვ. 615. უე 00697. ფასი 30 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




მხატვარი-მოდელიორი ნანა ცქვიტაია

# მოდა

1) ყოველდღიური კომპლექტი — ჟაკეტი ნახევრად გამოყვანილია და გაწყობილია ბეწვით. ქვედა კაბა დაპლისულია.

2) საგაზაფხულო ლაბადა, კოკეტით, თავისუფალი ფორმის სახელოები, ზედნადები ჯიბეებით, წინა კალთას ამშვენებს გასაფორმებელი გვირისტი.

3) მაუდის ქსოვილის უსარჩულო პალტო — სილუეტი სწორი. პალტო გაწყობილია შავი ფერის ბეიკებით.

4) საგაზაფხულო ლაბადა რეგლანი სახელოებით და კაპიშონით. ჯიბეები სარქველიანია და ჩაჭრილი.

5) ტრიკოტაჟის ქსოვილის კოსტუმი, ჟაკეტი თავისუფალი ფორმისაა — წელი დაგრძელებულია. ქვედა კაბა სწორია.

6) კომპლექტი ბუკლირებული ქსოვილისგან. ჟაკეტი თავისუფალია. ქვედა კაბა ირიბადაა ჭრილი. წინა და უკანა კალთა გამოკერილია ვიწრო ნაკეცებით.

ნანა ცქვიტაია



ИНДЕКС 76178

б 21/67.